მაისი, 1938 წ. პარიზი. № 2 (81) Paris, Mai 1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის გზა

ᲥᲝᲕᲔᲚᲗᲘᲗᲕᲘᲡᲘᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲥ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲛᲣᲨ. ᲞᲐᲠᲢ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.

შინაარსი: 1) მეოთხური—26 მაისი (1918-1938); 2) პირველი 26 მაისი; 3) პირველი მაისი; 4) კ. გ.—ბრძოლა თავისუფლებისათვის; 5) ბ. არიძე—ორეულოფი პოლიტიკა; 6) ხან-მანი—რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძძაობა; 7) ვალ.—რას სწერენ კომუნისტებზე? 8) ლეისპირელი—პაუსუხის მაგიერ; 9) ემ. ლიმთაოიძე—წერილი ჩეხოსლოვაკიიდან; 10) ემიგრანტული პრესა; 11) მუშათა შორის. 12) ნ.—ბიბლიოგრაფია (ახალი წიგნი).

26 მაისი
1918—1938

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ამ ოცი წლის თავზე ჩვენი გონება იქ არის, იქ—1918 წლის 26 მაისის საქართველოში.

მოგონება ამ ბედნიერ დღის ჩვენ ძალას გვმატებს, ბრძოლის სურვილს გვიცხოველებს, ჩვენს პერსპექტივებს სინამდვილესთან კავშირებს. იმიტომ რომ იგი დღე, 26 მაისი 1918 წლის, არ ყოფილა დღე მხოლოდ ზეიმის და სიხარულის; იგი იყო ამასთანავე ეამი უდიდეს პასუხისმგებლობის, გაბედულობის, მთელი ხალხის ერთგნულ თავისუფლების დროშის ქვეშ ერთსულოვნათ დადგომის—დრო წარმტაცი, კეთილშობილ გრძნობათა და გონიერების შემადუღებელი.

გვაგონდება იგი დრო. ომის ალში იყო გახვეული მთელი კაცობრიობა. ხოლო საქართველო, ეს პატარა კუთხე, უკვე მოწყვეტილი გარეშე ქვეყნებს, უეცრად მოსწყდა ჭირში და ლხინში განუყრელ თავის კავკასიელ მეზობლებსაც: იგი საკუთარი თავის ამარა დარჩა. ყოველ მხრიდან შავი ყორნები თავს დაგვჩხაოდნენ; გარეგან ჩვენს საზღვრებს მტერი შემოესია და შიგნით კარგათ მოკალთებული დიდ-ძალი რუსობა თავს არ გვანებებდა, გაშმაგებული შხამს აქცევდა, შიგნიდან აფეთქებას გვიპირებდა. ოთხი წლის განმავლობაში საერთაშორისო ომში ჩაბმული, საომარ ფრონტის ახლოს მყოფი, რევოლიუციის ქარ-ცეცხლში განვლილი ჩვენი ქვეყანა დიდ გასაჭირს განიცდიდა... იმ წუთების მოგონება—ეს უდიდესი განცდაა ჩვენი შინაური თუ საერთაშორისო, პოლიტიკური თუ ეკონომიური მძიმე, მძიმე მდგომარეობის.

ხოლო ამავე დროს ამ ამბების მოგონება საუკეთესო მოწმობაა ქართველი ხალხის ეროვნულ სიმწიფის, მისი პოლიტიკური უნარის და სახელმწიფოებრივი ნიჭის.

და მართლაც, ვინ იყო, სხვა რომელი ერი იყო საქართველოსავით მძიმე პირობებში რომ მოუხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება?

სად, რომელ სახელმწიფოს,—რუსეთიდან იმავე დროს გამოყოფილს თუ სხვას,—დამოუკიდებლობის პირველ ხანებშივე მოუხდა ბრძოლა ორ სხვადასხვა ფრონტზე, როგორც ეს მოუხდა განალეულ საქართველოს: ერთი მხრით რუსის ბოლშევიკები და საზოგადოთ რუსობა გვებრძოდა, მეორე მხრით კი ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ნაწილი ოსმალეთმა დაიპირა?

სად, რუსეთიდან გამოყოფილ რომელ პატარა სახელმწიფოში, საქართველოს გარდა, თავმოყრილი იყო იმ წუთში იმდენი უცხო ელემენტი, საქართველოს დატოვებას რომ ადვილათ არ აპირებდა; იმდენი რუსის გაბოლშევიკებული თუ გახულიგანებული სამხედრო (ოსმალეთის სახღვრებიდან გამოქცეული რუსის მთელი ჯარი) და სამოქალაქო მოხელეობა (თბილისი ადმინისტრატიული ცენტრი იყო არა მხოლოდ საქართველოსი, არამედ მთე-

ლი კავკასიის) ახალგაზრდა სახელმწიფოდან რომ მოითხოვდენ ან ნივთიერათ დაკმაყოფილებას, ან მას დარბევით ემუქრებოდენ?

სად, რომელი სახელმწიფო,—რუსეთიდან გამოყოფილი თუ სხვა,—იყო ისე დიდხანს მოწყვეტილი ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრებს, როგორც იყო მოწყვეტილი საქართველო? პოლიტიკურს—თავის ხმა და გადაწყვეტილება განათლებულ კაცობრიობისთვის რომ მიეწვდინა, ეკონომიურს—რათა მოკლებულს ყოველგვარ მრეწველობას, სხვისი ნაწარმოებით ესარგებლნა. ასი წლის ბატონობის შემდეგ საქართველოში, ძველი რუსეთი ხომ ისე დაიქცა, რომ ასანთი რა არის და თუ ვინდ უბრალო ძაფიც ჩვენ უცხოეთიდან შემოსატანი გვქონდა!..

ჩვენს მდგომარეობაში იმ დროს სხვა არავინ, გარნა ჩვენივე მეზობელი სომხეთი-ღა იმყოფებოდა.

ვის ემყარებოდა იმ დროს საქართველო, ვისი იმედი ჰქონდა? მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ თავს ემყარებოდა იგი, ბრძოლაში თავდადებულ თავის საკუთარ შვილებს, საუკუნოებით გადმოცემულ სახელმწიფოებრივ ინსტინქტს და ტრადიციებს,—სხვას არიგის. ასეთი იყო მაშინდელი სინამდვილე, და ეს ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს.

და რამდენად უფრო კარგად გავიხსენებთ იმ დროინდელ მძიმე პირობებს, იმდენად უფრო დავაფასებთ ჩვენი ხალხის უხარს და ნიჭს, მხნეობას და თავდადებას. განსაკუთრებით მძიმე პირობებით გარემოცულმა საქართველომ ორ-ნახევარ წლის განმავლობაში მაინც შესძლო ყოველივე ის, რაც ამავე ხნის განმავლობაში სხვა—რომელიმემ რუსეთიდან იმ დროს გამოყოფილმა სახელმწიფომ კი შესძლო: ნივთიერათ და პოლიტიკურათ. არა, «26 მაისი» ზე ციდან ჩამოვარდნილი საჩუქარი არ ყოფილა; ასე რომ ყოფილიყო, ქართველი ხალხი მას ადვილათ დაივიწყებდა.

«26 მაისი» შეჰქმნა ქართველი ხალხის ერთგულმა თვითშეგნებამ, მისმა ენერგიამ გაამაგრა და მისმა ერთსულოვნებამ განაპოხიერა იგი. ქართველი ერი მხლიანად, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ეზიარა «26 მაისს», იმიტომ რომ იქ დაინახა საფუძველი ყველა სასიცოცხლო ძალების თავისუფლათ განვითარების; პირადი კეთილდღეობა ქართველმა კაცმა იმ დროს საფრთოდ იდეალს დაუქვემდებარა და ამ მაღალ იდეალისთვის მან საკუთარი სისხლიც დაღვარა.

«26 მაისის» ნიადაგზე იფურჩქნებოდა და იზრდებოდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალა ცხოვრების სხვადასხვა დარგში, გზა ფართე იშლებოდა და სარბიელი დიდი. გარეგან მოსულმა უხეშმა ძალამ შეაჩერა ეს ბუნებრივი წინსვლა, რუსეთის ციხე-კედელი კვლავ აღიმართა ქართველი ერის პროგრესის გზაზე. ქვეყანა დაარბიეს, ხალხი აწამეს. ხოლო მოგონება «26 მაისის» მაინც ვერ მოსპეს; მან ქართველი კაცის გულში საუკუნოთ დაისადგურა.

და იმ დროს, როცა ჩვენ, თავისუფალ ქვეყანაში გადმოხვეწილნი. ხმა მაღლა ვადიარებთ ამას, იქ—ქართველი დედა დამწუხრებული, ჩვენი დები და ძმები, ჩვენი იდეიის მატარებელნი, თუ სხვები,—ყველა ქართველნი, ჩვენში თუ უზარმაზარ რუსეთის ციხეებში გამომწყვდეულნი და ცივ ქვეყნებში გადაგზავნილნი, ჩუმათ, უსიტყვო ლოცვით თუ მტრისადმი ბოღმით აღვსილი გრძნობით. გულის სიღრმეში იგონებენ «26 მაისს», იგონებენ იმისთვის, რომ კვლავ აშკარათ იდღესასწაულონ იგი...

ჩვენ ქედს ვიხრით იმათ შეუდრეკელ მხნეობის, განუწყვეტელ ბრძოლის და ტანჯვის წინაშე ამ დიდი ხნის განმავლობაში!

ჩვენ მათთან ვართ სულიერათ. ჩვენი გზა ჩვენ მიერ ნაცადი გზა არის: ბრძოლაში ქართველ ნერგმელ ხალხთან დგომის და მისი ინტერესებით ცხოვრების. ეს ის გზაა, ჩვენთვის რომ არა ერთი და ორი გამარჯვება მტერზე ურგუნებია. ჩვენ ვართ ყველასთან, ხელს ვუწვდით ყველას, ვინც საქართველოს განთავისუფლების საქმეს მართლა ემსახურება: ამას გვავალებს საქმის სიღიადე და ტანჯვაში გაერთიანებულ საქართველოს მაგალითი. ის ენერგიაშკარათ თუ ფარულათ ერთი-მეორის წინააღმდეგ გია. ბრძოლაში რომ იხარჯება ამ ემიგრაციაში, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზზე უნდა იქმნეს გადატანილი. შეიძლება სხვადასხვა გზით, სხვა დასხვა მეთოდით, მაგრამ დღეს ყველა ქართველი, ყველა ქართული ჯგუფი, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, ერთ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, ერთად ერთს: საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ამაზე უფრო დიდი საქმე ქართველ კაცს არა აქვს დღეს გასაკეთებელი.

ჩვენი იმედი მაინც ის არის—ჩვენი ხალხი, მისი წარსული, მისი სახელოვანი ისტორია. გაჭირვებაში გამძლეს, თავისუფლებისთვის თავდადებულ მებრძოლს ქართველ ერს მტერზე ბევრჯელ გაუმარვია; მისი დამპყრობნი აღგვილან პირისგან ქვეყნისა და მას კი, სულით მუდამ ძლიერს, ერთგნული დროშა ოც საუკუნეზე მეტი უტარებია.

«26 მაისი»-ც ამის თავდები არის!

Digitized by Georgian Parliamentary Library

ᲐᲘᲠᲘᲕᲔᲚᲘ 26 ᲛᲐᲘᲡᲘ

დიდი აქტიანი დღე სეიმის უკანასკნელი სხდომით დაიწყო. სხდომას თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

ნ. რამიშვილი აყენებს მოხსენებას საზეგო მოლაპარაკებისა და მიმდინარე მომენტის შესახებ. მდგომარეობა ტარადიკულია. ირკვევა, რომ ამიერ-კავკასიის შემადგენელი ნაწილები ვერ ეძინან შეთანხმებულნი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ძირითად საკითხებში. ცხადია ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის მთლიანი არსებობა გან წირულია. მთელ რიგ ორატორების სიტყვების შემდეგ სეიმი ფებულობს რეზოლუციას, რომლითაც აცხადებს ამიერ-კავკასიის მთლიანობას დარღვეულად და სეიმს დაშლილად.

სეიმის დაშლის შემდეგ იწყება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ეგებება საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას, რომელიც მომენტის შესაფერ სიტყვით მიმართავს სხდომას. ამ სიტყვის მთავარი შინაარსი ასეთია:

მოკალაქენო, ჩვენ ეყავით დღეს მოწმე ერთი ისტორიული, იშვიათი, მაგრამ ტრაღიკული აქტისა. დღეს ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და სამირკველი ეყრება მეორე სახელმწიფოს. ეს მეორე სახელმწიფო არ არის პირველის მოწინააღმდეგე, მათ შორის შური და მტრობა არ არსებობს და თუ აღსდგა პირველი სახელმწიფო, მეორეს ამის საწინააღმდეგო არაფერი არ ექნება. პირიქით მეგობრულად ხელს გაუწვდის მას. დაე იცოდეს ყველამ, რომ ახალი სახელმწიფო არ იქნება მიმართული არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ (ტაში).

მისი მიზანია დაიფაროს დღეს თავი და ხელი შეუწყოს იმის ადგომას, ვინც დაცემულია (ტაში).

იცით რომ საქართველო ბრძოლის ქვეყანაა. ის საუკუნეებით მამაცურად იბრძოდა ყველა იმ ერთათვის, რომელნიც მოსახლეობდენ მის ფარგალში (ტაში). ვიტყვი მეტსაც: ის მფარველობდა იმ ერებსაც, მის ფარგლებს გარეშე რომ იყვენ. და თუ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მის არსებობის ისტორიას, მას შერჩა მიდრეკილება თავისი ინტერესები შეუერთოს სხვის ინტერესებს. ამიტომ არც ერთი სახელმწიფო არ უნდა განიკიდიდეს მის დაარსებით აღშფოთებას.

აქ, სეიმში ითქვა, რომ არ არის ისეთი ხალხი რომელიც შური, მტრობით უცქეროდეს საქართველოს და ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი სახელმწიფო სავსებით გაამართლებს ამას.

მე მივაქცევ დღეს განსაკუთრებით ყურადღებას სომხის ტრაღედიას. ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა მათ მხარეზეა.

დღეს ერი ჩვენგან მოითხოვს ისეთ მფარველობას, როგორსაც ის თხოულობდა ასი წლის წინეთ (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს აგრეთვე კეთილ განწყობილებაში ვიყოთ ამიერ-კავკასიის მუსულმანებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინიც დაიარსებენ ასეთივე სახელმწიფოს და მერე ხელს გამოგვიწვდიან, რომ შეეერთდეთ(ტაში). ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს გარეშე მყოფ ერებთან იქნება მაგიდრი. მაგრამ სა ძირველი, რომელზედაც დაეყრდნობა და გამაგრდება ის ნორჩი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ დღეს ვაარსებთ. აქ ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში არიან ისეთი ერები, რომელნიც უმცირესობას წარმადაგენენ. ეს ერები იქნებიან ისეთივე უფლებებით აღჭურვილნი, როგორთაც ყველა.

ჩვენი იდეალია დიდი კავშირის შედგენა ამიერ-კავკასიაში. აი ეს კავშირი იქნება შემაერთებელი ძაფი, საერთო ნიდი, რომ კავშირში მოქცეული ყველა სახელმწიფოები ერთად გამოვიდენ და დაიცვან სამშობლო. მაშინ იქნება შესრულებული ის, რის შესრულებაც ახლა ვერ მოვასწარით ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. ის ხალხი, რომელიც ახლა მიიღტვის ამიერ-კავკასიის მთლიანობიდან, ისევ გამობრუნდება და დავდგებით ერთ საერთო დროშის ქვეშ, რომ ერთად გავსწიოთ ნეტარ მომავლისაკენ (ხანგრძლივი ტაში).

ამ შესავალი სიტყვის შემდეგ ნ. ჟორდანია კითხულობს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებულ დამოუკიდებლობის აქტს. აქტის ყოველივე ფრაზას დარბაზი მხურვალე ტაშის ცემით და «გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას» ძახილით ეგებება.

სანამ ეროვნულ საბჭოს სხდომა გრძელდებოდა, სასახლის წინ მოგროვდა ზღვა ხალხი. საზოგადოებამ უკვე იცოდა, რომ იმ დროს სასახლის თეთრ დარბაზში იმადებოდა ახალი საქართველოს დამოუკიდებლობა და მოუთმენლად მოელოდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას. საზოგადოებიდან ვიღაცამ წამოიძახა: მოვითხოვთ გამოვიდეს ნოე ჟორდანია და აქტი წაგვიკითხოს». ამ წამოძახილს აყვა ზღვა ხალხი—«აქტი, წაგვიკითხეთ, აქტი! ვთხოვთ ნ. ჟორდანიას გამოვიდეს»...

ხალხის სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნა: სასახლის ბალკონზე გამოდიან ნ. ჟორდანია და საბჭოს წევრები. გრიალებს დაუსრულებელი ტაში; იკითხება დამოუკიდებლობის აქტი. «გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს», «გაუმარჯოს განთავისუფლებულ საშმობლოს»,—გაისმის ყოველ მხრიდან. საბჭოს წევრები და ხალხის საყვარელი ორატორები სიტყვებით მიმართავენ ხალხს და უხსნიან ზეკითხულ აქტის მნიშვნელობას.

ზღვა ხალხის აღფოთოვანება უმაღლეს წერტილამდე აღწევს; ახლოსელი და შორეული, ნაცნობი და უცნობი სიხარულის ერთ გრძნობაში შეფუღებულნი ერთმანეთს ეხვევიან ან ულოცავენ.

ას ოცი წლის მონობის შემდეგ კვლავ მკვდრეთით აღსდგა საქართველო.

პირველი მაისი

პირველი მაისი შრომის დღესასწაულია. შრომის და პიროვნების თავისუფლება, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესობა და მათი ეკონომიური და კულტურული წინ წაწევა, დათრგუნვა ყოველივე ძალადობისა, მოსპობა მილიტარიზმის და იმპერიალიზმისა, ყველა ერთა თავისუფლება და მათ შორის მშვიდობიანობის და სოლიდარობის დამყარება, საერთო სოციალურ-პოლიტიკური საბრძოლიანობის მოპოვება—აი რას მოითხოვს პირველ მაისს მშრომელი ხალხი და რა ლოზუნგებით გამოდის ის ამ დღეს.

მაგრამ ყველა ეს მოთხოვნილებები საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში ძირიანად უარყოფილია. არსად იქ არ არსებობს არც შრომის და არც პიროვნების თავისუფლება; მშრომელ თ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ფიქრიც კი აკრძალული აქვთ; ყოველგან მეფის ჩეკა-პოლიციის უხეში თვითნებობა; ხალხს საუკეთესო შვილები განუკითხავთ იელიტება; ერებს წართმეული აქვთ თავისუფლება და თვითგამორკვევის უფლება; ხელისუფლება ცდილობს საბჭოთა კავშირში ერთი ერი დანარჩენ სხვა ერებზე გაამტონოს. ყველა ისინი კი სოციალურად და პოლიტიკურად იტანჯებიან.

დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი ვერ დღე სასწაულობს პირველ მაისს ისე, როგორც ამას წინეთ შვებოდა და ვერ აყენებს საამისო ლოზუნგებს. მას აკრძალული აქვს სთქვას და დასწეროს სრული სიმართლე მშრომელთა პირველ მაისის მანიფესტაციებზე ამ ორმოცი წლის წინეთ ჩვენში, ან შესაფერისათ აღწეროს და მოიგონოს პირველი მაისის დიადი დღეები თავისუფალ და დამოკავიდებულ საქართველოში.

ჩვენი მტრები კი დაპყრობილ ჩვენ სამშობლოში ყოველ პირველ მაისს საოკუპაციო ჯარების სამხედრო აღლუმს მართავენ, ქუჩებში ტანკები და ზარბაზნები გამოაქვთ და ამის საყურებლათ ჩეკისტები ხალხს იარაღით ერეკებიან. მრაგვრელები ცდილობენ ჩაგრულთ თავიანთი ძალა არვეხონ, ისინი დააშინონ და მათ ბრძოლის ხალისი წაართვან.

საბჭოთა რუსეთში პირველი მაისი უსულო და უშინაარსოა. მას მაღალი მორალი და იდეალი ამოაცალეს და მრაგვრელ იმპერიალისტების სადგომნსტრაციო დღეთ გახადეს. დღე მხიარულებისა და სიხარულისა მძიმე და მწარე ფიქრების დღეთი შესცვალეს.

პირველი მაისი კომუნისტებმა მშრომელ თა და ერთა დამონების დღეთ გადაქცეულ. მაგრამ მრაგვრელთა და დამონებულთა შორის ბრძოლა გაგრძელდება მანამდე, სანამ ეს უკანასკნელნი თავისუფლებას არ აღიდგენენ.

26 მაისის აღდგენა საქართველოში კი პირველ მაისსაც გაანთავისუფლებს ბოლშევიკების ტყვეობისაგან.

ბრძოლა თავისუფლებისათვის

წვრილ ერთა და პატარა სახელმწიფოთა თავისუფლებისათვის წარსული თუ წწყო ბრძოლის ზოგი ეპიზოდები ბევრ მეტათ საყურადღებო და საინტერესო რამეებს გვირკვევს და გვიმეკიცებს.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს და მეცხრამეტის დასაწყისში ნაპალეონმა თავისი რევოლიუციონური ომებით მთელი ფეოდალური ევროპა ძირიანათ შეანძრია, მისი საზღვრები გადამიჯნა. ბევრი გვირგვინოსანი ტახტიდან ძირს ჩამოაბრძანა, ბევრიც კიდევ ახლათ გაამეფა და ყოველგან თავისი წესების და კანონების შემოღებას შეეცადა.

ამ ომორიაქებულ ხანაში ბევრს ნაციონალური აღორძინებას იმედებიც დაებადა. მაგრამ ამ იმედებს დიდათ ფრთები შეეკვეცა და ლახვარი ჩაეცა ნაპალეონის სასტიკი დამარცხებით და მთელ ევროპაში საშინელი რეაქციის გაბატონებით. ნაპალეონის ომების მიერ მოხდენილი ცვლილებები ევროპაში წაშლილ იქნა. ადადგინეს ძველი, ან შექმნეს ახალი ისეთი მდგომარეობა, რომელშიდაც შეეძლებელი უნდა გამხდარიყო ყოველივე რევოლიუციონური მოძრაობა.

ევნის კონგრესზე შეკრებილი მონარქნი ფიქრობდენ, რომ ეროვნულ რევოლიუციონური მოძრაობა ადვილათ მოისპობოდა და მათ დადგენილებებს და ბრძანებებს დამონებული ერები უსიტყვოთ დაემორჩილებოდენ. მაგრამ ისინი სასტიკათ მოსტყუვდენ.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩაგრული ერთა მთავარი მამოძრავებელი იმპულსი სოციალურ საკითხებთან ერთად ეროვნული მომენტია.

ევროპის რეაქციის მთავარი დარაჯნი—მეტერნიხი და რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველი ევროპაში ზავს და მშვიდობიანობას, ყოველ შემთხვევაში, რამოდენიმე ათეული წლებით ანგარიშობდენ. მაგრამ ვენის კონგრესის შემდეგ ძლიერს გავიდა შვიდი წელი, რომ ბაჯანყებამ იფეთქა საბერძნეთში და დაიწყო ბერძნების განმათავისუფლებელი ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ.

საბერძნეთის ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას თავიდანვე დიდის შიშით და უკმაყოფილებით შეხვდენ ვენის კონგრესის მონაწილენი. მათ აფიქრეს, რომ ამ მოძრაობის არ გამოხმაურებოდა სხვა ჩაგრული ერები, რაც იქნებოდა ევნაში დამყარებული წონასწორობის სრული მოშლა და გაბათილება. საბერძნეთის ინსურგენტები არ ცხრებოდენ და ბრძოლას მედგრათ აგრძელებდენ. დაბოლოს ინსურგენტებს სხვებთან ერთად ექმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება ინგლისი, რომელიც დაინტერესებული იყო ახლოადმოსავლეთში თავისი პრესტიჟის გაძლიერებით. შედეგი იყო ის, რომ სულთანი ოთხი საუკუნის ბატონობის შემდეგ იძულებული ხდება იცნოს საბერძნეთის დამოუკიდებლობა (1828 წ.).

სულ მალე—ორი წლის შემდეგ საფრანგეთის რევოლიუციის (1830 წ.) ზეგავლენით თავისუფლების მოსაპოვებლად დიდი მოძრაობა იწყება ბელგიაში და პოლონეთში. ბელგიის დამოუკიდებლობას ენერგიულად უშერეფ მხარს ინგლისი და საფრანგეთი და შემდეგ სხვა სახელმწიფონიც ცნობენ ბელგიის სუვერენულ უფლებებს. ბელგია ეყოფა ჰოლანდიას და იწყება თავის საკუთარ ცხოვრებას. პოლონეთს კი არავინ ეხმარება, მის წინააღმდეგ ილაშქრებს ევროპის ჟანდარმი—რუსეთი მეფე ნიკოლოზ პირველი და სისხლში ახრჩობს განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საფრანგეთის შემდეგ რევოლიუციამ (1848 წ.) იფეთქა პრუსიაში და ავსტრიაში. ამ რევოლიუციონერი მოძრაობით სარგებლობა მოინდომეს ავსტრიის მიერ ჩაგრული ერებმა—იტალიელებთან ერთად უნგრელებმა და ჩეხებმა, მაგრამ მათ არავინ არ გამოეხმაურა და მხარი არ დაუჭირა. ნიკოლოზ პირველი, შეშინებული იმით, რომ უნგრელების მაგალითისთვის პოლონელებსაც არ მიებაძა, კარპატების გზით აგზავნის რუსის ჯარებს ფრანც იოსების დასახმარებლათ უნგრეთის წინააღმდეგ. ბრძოლის ველზე მარტოთ დარჩენილი ჩაგრული ერები აქაც დამარცხდენ. ასეთივე ცუდი პირობების გამო დამარცხდა 1863 წელს პოლონეთის აჯანყებაც.

უნგრელები, რომელნიც დამარცხებულ იქნენ 1849 წელს, თავისუფლებისათვის ბრძოლას თავს არ ანებებდენ, იმედს არასოდეს არ ჰკარგავდენ და შესაფერის ხელსაყრელ მომენტს უცდიდენ. ასეთი ხელსაყრელი პირობები დაინახეს მათ 1866 წელს პრუსიის და ავსტრიის შორის ომის დროს. ამ კონფლიქტში უნგრელები პრუსიას თანაუგრძნობდენ და მის მხარეზე იყვნენ. ავსტრიის დამარცხებას მოყვა უნგრელების მიერ შინაურ საქმეებში სრული ავტონომიის მოპოვება და ავსტრია-უნგრეთის თანაბარ პარტნორებად გახდომა.

ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ 1828 წელს საბერძნეთი განთავისუფლდა ოსმალეთის ბატონობისაგან. მაგრამ ოსმალეთის ბატონობას განიცდიდენ აგრეთვე სხვა ქრისტიანული ერები: სერბიელები, ბულგარელები და რუმინელები. ყველან ამ ქვეყნებში დიდ ინტრიგებს აწარმოებდა რუსეთი, რომელიც დაინტერესებული იყო ბალკანეთში გავლენის მოპოვებით და ამ მიმართულებით სტამბოლისაკენ გზის გაკაფვით. რუსეთ-ოსმალეთის ომს (1877 წ.) შედეგათ მოყვა ამ ერების ოსმალეთისაგან განთავისუფლება და ბერლინის კონგრესის მიერ მათ დამოუკიდებელ ეროვნულებათ ცნობა.

1905 წელს ნორვეგიაც თხოულობს თავისუფლებას შვეციისაგან, რაზედაც შვეციის მთავრობა ჯარების მობილიზაციით უპასუხებს. მთავრობის ასეთი პოლიტიკის და ძალადობის წინააღმდეგ ილაშქრებს შვეციის სოც.-დემოკრატია ბრანტინგის მეთაურობით, რომელიც გენერალური გაფიცვით იმუქრება, თუ ნორვეგიას არ მიეცემოდა სრული თვითგამორკვევის შესაძლებლობა. მთავრობა იძულებული შეიქნა დაეთმო. ნორვეგიაში მოეწყო პლებისციტი და ნორვეგიის ერის დიდი უმცავლესობა დამოუკიდებლობის მომხრე აღმოჩნდა. ნორვეგია სიხსლის დაუფლებელათ განთავისუფლდა.

შემდეგი დიდი მოვლენაა წვრილ ერთა ცხოვრებაში მსოფლიო ომი და ამის შედეგათ რუსეთის რევოლიუციაა 1917 წელს, ხოლო 1918 წელს რევოლიუცია ცენტრალურ ევროპაში.

რევოლიუციის პროცესში რუსეთი ირღვევა და ნაწილდება, არარუსი ერები თვითონ აწყობენ თავიანთ საქმეებს და თავისუფალი ხდებინან.

გერმანია-ავსტრიის დამარცხებასაც თან მოყვა დიდი ცვლილებები ცენტრალურ ქვეყნებში: ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი განთავისუფლდა; პოლონეთი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სამჯერ იყო დანაწილებული რუსეთ-პრუსია-ავსტრიის შორის, 1918 წელ-ში ერთანდება და დამოუკიდებელი დიდი სახელმწიფო ხდება.

ამნაირათ, ამ 20 წლის წინეთ იყო მომენტი, როცა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში წვრილი ერები განთავისუფლდენ და მოეწყვენ ცალკე სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში. აქ ყოველ განერთი ერი ერთ ერთი სახელმწიფო იყო, გარდა პატარა ირლანდიისა, რომელმაც ინგლისთან დადო ხელ შეკრულება 1921 წელს, მიიღო დომინიონების უფლებები და ფაქტიურად გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

შეიძლება გვეფიქრა, რომ წარსულის მაგალითებზე ერთა ყველა მჩაგვრელებმა აწყარათ დაინახეს და დარწმუნდენ, რომ ერთი ერის მეორეს მიერ დამონება მხოლოთ უხეში ძალის საქმეა. მაგრამ ეროვნული გონრნობა და თავისუფლებისა, ერის თავისუფლათ განვითარებისადმი მისწრაფება ისეთი დიდი და ძლიერი რამეა, რომ ყველა ამასთან ბრძოლა და მისი ჩაკვლა-მოსპობა ყოველთან შეუძლებელია. აქედან შესაფერისი დასკვნებიც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის რევოლიუციას ბოლ-შევიკების წოთელი რეაქცია დაეპატრონა. ამ რეაქციამ ხელახლათ დაიპყრო და დაიმონავა წინეთ რუსეთის ფარგლებში მომწყვდეული ზოგი ერა რუსის ერები, რომელნიც დიდი რევოლიუციის პროცესში გახდენ თავისუფალნი და მოეწყვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ. საბჭოთა რუსეთმა ჯარებით ოკუპაცია მოუხდინა და ძალით შეიერთა კავკასია, უკრაინა, თურქესტანი და სხვა. მას უნდოდა ასეთნაირადვე ძალით დაეკავებინა ბალტიის პატარა სახელმწიფონი და პოლონეთიც. მაგრამ ამ უკანასკნელთა ყოფა-ცხოვრებით და, განსაკუთრებით, მათი გეოგრაფიული მდებარეობით დასავლეთ ევროპის ზოგი დიდი ქვეყნები უფრო დაინტერესებული გამოდგენ, ვიდრე კავკასიელებით და სხვებით. ამიტომ ბოლ-შევიკებმა მათი იმპერიალისტური გეგმა მთლიანათ იარაღით ვერ განახორციელეს. მაგრამ მათ მიზნის მიღწევას ისინი შემდეგ სხვა ქვეყნებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პროპაგანდის საშუალებით და შინაური გადატრიალებებით შეეცადენ.

ბოლშევიკურ იდეოლოგიამ და ტაქტიკამ დასავლეთ ევროპაში გამოიწვია დიდი წინააღმდეგობა და უკმაყოფილება. ბოლშევიზმმა ასაზრდოოვა და გამაგრა ევროპის რეაქცია.

თუ მეფეების დროს ალეკსანდრე პირველი, ნიკოლოს პირველი და სხვები ეხმარებოდენ ევროპის მონარქებს წვრილ ერთა თავისუფლების დასათრგუნავად და ასალაგმათ, ბოლშევიკების ტაქტიკას და მოქმედებას სხვა მიზებებთან ერთად დიდი წილი უდევს იმაში, რომ ევროპაში დღეს შექმნილია ისეთი სულისკვეთება და მდგომარეობა, რომ წვრილ ერთა და პატარა სახელმწიფოთა ბედი დიდ საფრთხეშია.

როგორც ზემოთ დავინახეთ, იზოლიაციაში მყოფი და უმეგობროთ დარჩენილი პატარა ერი ყოველთვის ადვილათ მარცხდებოდა. წვრილი ერების განთავისუფლება უმეტეს შემთხვევებში ხდებოდა სხვისი დახმარებით და მხარის დაჭერით და სხვების მიერ შექმნილი ფაქტის შესაფერისად გამოყენებით. მაგრამ სხვისი დახმარება და მხარის დაჭერა არა ნაკლებ საეჭვოა, როცა საქმე ეხება თვით თავისუფლების შენარჩუნებას. სუსტს და პატარა ერს, ცხადია, დახმარება სჭირია, მაგრამ, რადგანაც ეს, სამწუხაროთ, ადვილათ არ ხერხდება, პირველ ყოველისა მაინც უმთავრესია თვით წვრილ ერთა და პატარა სახელმწიფოთა შინაური მდგომარეობის გამაგრება, მათ შორის მკვიდრი კავშირის დამყარება და ერთმანეთისადმი დახმარება. ეს იმითაც მტკიცდება, რომ, როცა პატარა ქვეყნები კი ცდიან მორიგებას და ერთმანეთთან შეთანხმებას, ყოველ თვის მათ ამაში ხელს უშლიან ერთმანეთ შორის მოკიშპე დიდი სახელმწიფონი, თუ პატარათა მორიგება ისე არ ხდება, როგორც ეს თვითოეულ დიდებთაგანს სწადია. ამის ერთი კარგი მაგალითიც გვაქვს: 15 წელზე მეტია, რაც საბჭოთა რუსეთი პატარა ლიტვანიას არწმუნებს, რომ მან ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან საერთო პოლიტიკა არ აწარმოოს და ამხედრებს მას ხან ერთი და ხან მეორე მეზობელის წინააღმდეგ. საეჭიროებისას დახმარებასაც პირდებოდა. მაგრამ, როცა ლიტვანიამ ამ უკანასკნელთან მოსკოვს დახმარება სთხოვა, მოსკოვმა მას ზურგი შეაქცია.

ცუდ მდგომარეობაში იმყოფება დღეს მცირე ანტანტის და ბალკანეთის ბლოკის სახელმწიფონიც. თვითოეულ ამათგანს ეკიჩავება ხან ერთი და ხან მეორე დიდი სახელმწიფო. ყველას უნდა ისინი თავის გვერდინ ქვეშ იყოლიონ, თუკიღაც ამით მათი ურთიერთ შორის კავშირი შესუსტდეს და დაინღვეს.

ეკვეს გარეშეა, წვრილ ერთა და პატარა სახელმწიფოთა პირდაპირი სასიცოცხლო ინტერესი ერთმანეთ შორის შეთანხმება და მათი ერთად მოქმედება. ასეთი შეთანხმების და ერთად მოქმედების გეზი აქვს დღეს აღებული თავის გადასარჩენათ სკანდინავიის ქვეყნებს, სადაც ძალაუფლება ხელთ უპყრიათ სოციალისტურ პარტიებს. ეს უკანასკნელნი სხვა პარტიებთან ერთად ეხლა ეროვნულ თავდაცვის ენერგიიულ პოლიტიკას აწარმოებენ. ისინი იარაღს ისსმენენ და მაგრდებიან. თუ ვინმე მათ თავს დაესხმება, მომხდურს გაერთია ნებული ძალებით დახვდებიან.

და თუ ასეთ გზას ადგანან და ასე მოქმედებენ ზოგი პატარა სახელმწიფონი, რომელნიც დამოუკიდებელი და თავისუფალი არიან, შინაური მდგომარეობის გამაგრება, ეროვნული გაერთიანება და ერთმანეთ შორის მკვიდრი კავშირი და სოლიდარული მოქმედება ათასჯერ უფრო საჭიროა კავკასიის და საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ და დამონებულ სხვა ერებისათვის, რათა მათ უფრო ადვილათ და უფრო წარმატებით აწარმოვონ ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ა. ბ.

ოკუპაციის პოლიტიკა

ვარშავაში გამოდის მთიელთა სახალხო პარტიის ორგანო «სვეერნი კავკაზ». ეგ პარტია შემოდის კავკასიელთა საერთო ფრონტში და თავის წარმომადგენელიც ყავს კავკასიის კონფედერაციის საბჭოში. ამ უკანასკნელში შემომავალ ყველა ფაქტიებს პირობა აქვთ დადებული, რომ საერთო ძალებით და ერთსულოვანი გამოსვლით შეებრძოლებიან ისეთი სახის მეშვაობას, რომელიც მიზნად ისახავს დეზორგანიზაცია შეიტანოს კავკასიის განმათავისუფლებელ მებრძოლ ძალების რიგებში. ამავე პირობაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ კავკასიის საბჭოში შემომავალი ყველა სექციები და მათი ორგანები ვალდებულნი არიან ერთმანეთი დაიცვან. საამუხართად უნდა აღვნიშნოთ, რომ «სვე. კავკაზ» მა ეგ პირობა საკმაოთ დაივიწყა. იგი არამც თუ არ ექომაგება და არ იცავს მოკავშირე სექციას, როდესაც მას თავს ესხმიან და მის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს აწარმოებენ ესა თუ ის საეკვო პირები, არამედ საყვედურსაც კი ეუბნება იმ სექციას, რომელიც იცავს არა მარტო თავის თავს, არამედ აგრეთვე მთელს კავკასიურ ფრონტს.

ოთხი წელიწადია, რაც ეკურ. «კავკაზ» ი და მისი მთიელი ხელმძღვანელი გაიფიქრებულ კამპანიას აწარმოებენ საერთოთ კავკასიელთა ფრონტის და კერძოთ ქართული სექციის წინააღმდეგ. «სვე. კავკაზ»-ი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ორჭოფ პოზიციას ადგია და ერთხელაც კი ვერ გავიგონეთ მისგან თუნდაც ერთი გაბედული სიტყვა «კავკაზ»-ის საზიზღარი ლაშქრობის წინააღმდეგ. ამ მხრივ ამ ეკურნალ-ის არც უკანასკნელი (იანვარ-თებერვალი, 1938 წ.) ნომერი ღალატობს თავის თავს და მეთაურ წერილში დიდი სიმორცხვით იხსენიებს ბ ნ ბამატისა და მისი «კავკაზ»-ის «გამთიველ მიზნებს», ხოლო ჩვენ კი მოგვიწოდებს გამოვიჩინოთ «სიმშვიდე». ალბად «სვე. კავკაზ»-ი ფიქრობს, რომ, თუ მტერს მტრულად დახვდი და მისგან თავი დაიცავი,—ეს დარბაისლო-

ბის დარღვევა და სიმშვიდის დაკარგვა იქნება. ეს შემცდარი ახრია. ქართველებმა იციან სიმშვიდის დაცვა, სულიერ წონასწორობას არც ერთ რიულ მდგომარეობაში არ კარგავენ, მაგრამ თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვაც იციან; მტერს მტრულად შეხვდებიან, ხოლო მეგობრისათვის თავს უყოყმანოდ დასდებენ.

ბ-ნმა ბამატმა საკმაოდ გამოაშკარავა თავის მტრული დამოკიდებულება, როგორც საერთოდ კავკასიის, ისე კერძოდ საქართველოს მიმართ. იგი საქართველოს უდაოსაც კი სადაოდ უხდის და ბათუმის საქართველოდან განთვისებას ქადაგობს; ბათუმი კი საქართველოს სასიცოცხლო ძარღვია.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიცხადებია და ახლაც ვიმეორებთ, რომ ბამატს არ ეთქვით ოსმალეთის porte parole ად, გვითქვამს და ყოველთვის ვიტყვით, რომ ჩვენი გულწრფელი სურვილი და მისწრაფებაა გვქონდეს ოსმალეთთან მეგობრული და კეთილშობილური ურთიერთობა; მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება მარტო ჩვენს სურვილს, თუ ოსმალეთსაც ასეთივე სურვილი არ აღმოაჩენება? ჩვენ ვიქნებით სრულიად დამშვიდებული თუ დარწმუნდები გვეცოდინება, რომ ოსმალეთიც ისე კეთილგანწყობილია ჩვენდამი, როგორც ჩვენ მისადმი. ჯერ-ჯერობით ჩვენ ამის საბუთი ხელთ არა გვაქვს; ამავე დროს ბ-ნი ბამატი—ჩვენდამი და მთელ კავკასიისადმი მტრულ საქმიანობის სულის ჩამდგმელი—ცდილობს ქვეყანას მოაჩვენოს, რომ მის უკან დგას ოსმალეთი, რომელიც თითქო მზად არის კავკასიას დაეხმაროს, თუ კი ამ დახმარებისთვის კარგ სასყიდელს მიიღებს მის მეზობელ ხალეების ხარჯზე. ორში ერთი უნდა დაეშვა: ან მართლაც ოსმალეთი დგას ბ-ნ ბამატის უკან და ფიქრობს ნებით იქნება თუ ძალით დაეპატრონოს თავის მოსაზღვრე კავკასიელ ხალხების ახალ ტერიტორიას; როგორც კი საამისო პირობები დადგება; ან ბამატის უკან მოსკოვი დგას და მისი საშვალებით ხელოვნურად ქმნის ოსმალეთის საფრთხეს, რომ კავკასიის ერების ერთ ნაწილთა მაინც თავისი დამოუკიდებლობის ორიენტაცია მოსკოვის ორიენტაციაზე შეაცვლეგიოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეორე უფრო შესაძლებელია, ვინმემ პირველი, მაგრამ ჩვენ რომ ამაში დარწმუნებული ვიყოთ, ამისთვის საჭიროა ოსმალეთმა პირწმენდათ და კატეგორიულად გაიმიჯნოს ბ-ნ ბამატისა და მისი «კავკაზ»-ის საქმიანობისაგან. ეს მით უმეტესაა საჭირო, რომ ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში ათასნაირი ხმები დადის. პირიდან პირში გადადის, რომ თითქოს ბ-ნი ბამატი მის ორიოდე ქართველ თანამშრომელთა თანხმობით მზად არის ოსმალეთს დაუთმოს არა მარტო ბათუმი, არამედ სხვაც ბევრი რამ; ზოგნი კიდეც სწერენ და საქვეყნოთ გამოაქვეთ ეს ცნობა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ბამატს შეეძლოს ასეთი ავანტიურაში ჩაითრიოს დღევანდელი ოსმალეთის ხელმძღვანელები, მაგრამ გავრცელებული ხმების უარყოფა ვისაკნაც ეს ჯერ არს მაინც საჭიროა ატმოსფერის გასაწმენდად და ბამატის საანგარაოზე გამოსაყვანად.

გარეშე ამისა ჩვენ ოსმალეთისაკენ ბევრს არ მოვითხოვთ: მისი მხრით დიდ დახმარებათ ჩავთვლით, თუ ეამსა კავკასიის საოკუპაციო კომუნისტური ხელისუფლების ნგრევისა არ გადმოლახავს დღეს არსებულ კავკასია-ოსმალეთის საზღვრებს და მით ხელს არ შეუშლის კავკასიის ერებს აღიდგინონ თავისი დამოუკიდებლობა და მოაწყონ კონფედერატიული კავკასია.

ამ ჩვენს მოთხოვნილებას მხარი უნდა დაუჭიროს «სეგ. კავკაზ»-მაც თუ იგი გულწრფელი წევრია კავკასიელ ერთა საერთო ფრონტის. მისი მოვალეობაა აგრეთვე ჩვენთან ერთად ხმა აღიმაღლოს ბამატის პროვოკატორულ საქმიანობის წინააღმდეგ და ენერგიულად დაგმის იგი. ორპოფ პოლიტიკის გზაზე დგომით დღეს ვერავინ გავა ფონს.

ბ. ერიძე.

რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა

I. ტერიტორია და მეზობლეობა.

გასული საუკუნე ისტორიაში ერთა ბრძოლების და თავისუფლების საუკუნედაა ცნობილი. საბერძნეთი, ბულგარია, სერბია, რუმინია და თვით გერმანული სახელმწიფოს შექმნა პრუსიის მეთაურობით, მეცხრამეტე საუკუნის ღვიძილი ნიშანია. ევროპა იმ დროს ღელვადა და შფოთავდა. მისი სამხრეთი და შუა ნაწილი ღრმა ეროვნულ დუღილს განიცდიდა, ხოლო მისი აღმოსავლეთიო, რუსეთის სახით, საწინააღმდეგო პროცესი ხდებოდა. ის შუა და მცირე აზიისაკენ მიიწევდა და დამოუკიდებელ ერებს ერთი მეორეზე იპყრობდა; მათ ადგილზე რუსულ გუბერნიებს და ხელისუფლებას ამკვიდრებდა. ცხადია, იმ დროს მისთვის არავის ეცალა, ხელი შემშლელი არავინ ყავდა, პირიქით, ზოგი მასთან კავშრის და მეგობრობასაც ეძებდა. აი, ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერია, რომლის ფარგალში მრავალი მდიდარი კულტურის და ტრადიციების მატარებელი ერები აღმოჩნდნ. შეიქმნა სახელ მწიფო, ერთა კონგლომერატი, ისტორიაში გაუგონარი და უნახავი. მას დაეჭქვა დიდი რუსეთი, ხოლო მის ქვეშევრდომთ—რუსის ხალხი. ეს სიტყვიერ ელნელა უცხოეთმაც დაიჯერა. რუსეთის უზარმაზარი სივრცე წარმოდგენილი იქნა, როგორც ერთი მთლიანი, რუსული სახელმწიფო, თავის იმპერატორით, პოლიციი-ჯარით და დაბეჩავებული უფლებაყოფილი ხალხთან. ეს ბოროტადრე მრავალ ერებს არავინ სცნობდა. თითქოს რუსეთის იმპერია «ერთი ერი და ერთი სახელმწიფო» ყოფილიყვეს. თვით პოლონეთს და ფინლიანდიას, სხვებზე რომ არაფერი ვსთქვათ, რუსის მესვეურნი უბრალო პროვინციებად სთვლიდენ და ამით რუსეთის სახელმწიფოს «მონოლიტობაში» მსოფლიოს არწმუნებდენ. ხო-

ლო ახალი ქვეყნების დაპყრობას «წესრიგის» დამყარების მომიზეზებით ამართლებდენ. რუსული სკოლა, მეცნიერება და ხელოსნეფლება ამ «მონოლოტობას» მთელი საუკუნე ამტკიცებდა და, რა გასაკვირია, ამით დაჯერებული ეცნობეთ რუსეთში რუსის მეტს არავის ხედავდა.

ასე შემოგრაფა რუსეთი მეოცე საუკუნის კარებში. აქ იაპონიასთან შეჯახებაში ის სასიკვდილოთ დაიჭრა. შეტორტმანდა და შეჩერდა თავის იმპერიალისტურ სავალ გზებზე. ზრდისა და დაპყრობის პროცესი შეწყდა და გაიყინა. რუსეთში დაიწყო მძაფავრი ეროვნული და სოციალური მძძრობა. პორტატურში დაჭრილი დათვი მსოფლიო ომში მოიკლა. რევოლიუციამ მას წესი აუგო და მით მოპირდაპირე პროცესს კარი გაუღო.

და აი, ძველი რუსეთი ახალმა შესცვალა; მას გამოეყო მთელი რიგი ერებისა: პოლონეთი, ლატვა, ესტონია და ფინლიანდია. ამით ერთგვარად გაშიშვლდა რუსეთის სინამდვილე. ფარდა აეხადა მისისხეულის სიმპახინჯეს, არა მთლიანს და «მონოლიტურს», არამედ მრავალ ერებად დანაწილებულს და დაყოფილს. ამის შემდეგ მაინც საფიქრებელი იყო, რომ ძირიანად შერიყეოდა გაბატონებული ზეხედულება «დიდ რუსეთზე»—მთლიანზე და განუყოფელზე. მაგრამ ძველი მცნება კვლავ ძალაში დარჩა; აწეული ფარდა კვლავ დაეშვა და მან დაფარა საამკაროაზე გამოტანილი დიდი რუსული სიცოცე. მსოფლიოში კვლავ გასავალი მიეცა შემცდარ და ყალბ წარმოდგენას «170 მილიონიან რუსის ხალხზე» მის სამეფურ ნეო და სამხედრო ძლიერებაზე. თითქოს არაფერი მომხდარიყოს, რუსეთს არავინ გამოკლებოდეს და დასუტების მაგიერ ვითომც კიდეც გამძლავრებულიყვეს. ეტყობა, ამ მხრივ, ძველი რუსეთის მუშაობას და ბოლშევიკების აგიტაციას უქმად არ ჩაუვლია...

მაგრამ რუსეთი მართლა წარმოადგენს მთლიან სახელმწიფო სხეულს თავისი ტერიტორიით, ვეფიკორუსულ ფაქტორის სიმრავლით და სიძლიერით? როგორია ძალთა განწყობილება რუს და არარუს ხალხებთა შორის?

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა თვით დღევანდელი საბჭოთა რუსეთის ადმინისტრატიული დანაწილება, რომელიც მოდის ჩაგრულ ერთა საზღვრებთან, მათი ფორმალური და ფაქტიური მდგომარეობით საბჭოთა კავშირში.

თანახმად «სტალინის კონსტიტუციის» მე 13 მუხლისა, დღევანდელი რუსეთი შესდგება 11 საკავშირო რესპუბლიკებისაგან: ველიკოროსია (რ.ს.ფ.რ.), უკრაინა, ბელორუსია, ზაერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, თურქმენისტანი, უზბეკისტანი, ყაზახისტანი, ყირგიზეთი და ტაჯიკისტანი.

დანარჩენი ხალხები—ყაზანის თათრები, ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია, იაკუტები და სხვა მრავალი—მოქცეულნი ველიკოროსიის ფარგალში და შედგენენ 17 ავტონომიურ რესპუბლიკას და 6 ავტ. ოლქს.

რას ნიშნავს საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკები? რა განსხვავებაა მათ შორის?

«საკავშირო რესპუბლიკას წარმოადგენს მხოლოდ ის განაპირა რესპუბლიკა—განმარტავს სტალინი—რომელიც გარემოცული არ არის საბჭოთა კავშირის ტერიტორიით. ე. ი. ისეთი რესპუბლიკა, რომელიც მოსაზღვრეა ამა თუ იმ უცხო სახელმწიფოსი... ამ კატეგორიის რესპუბლიკებს უფლება აქვთ კავშირიდან გამოსვლის» (იხ. სტალინის სიტყვა საბჭოების მე-8 ყრილობაზე წარმოთქმული).

მაგრამ სულ სხვაა «ავტონომიური რესპუბლიკა». ეს ის რესპუბლიკებია, რომლებიც მოქცეული არიან ველიკოროსიასა და საკავშირო რესპუბლიკებს შორის და დასახლებულია არა რუს ხალხებით. კონსტიტუციის ძალით ამ უკანასკნელთ უფლება არ აქვთ კავშირიდან გასვლის «ვინაიდან—იმავე სტალინის განმარტებით—ისინი გარემოცული არიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიით და არსად შეუძლიათ წავიდენ»-ო. მაშასადამე, საკავშირო რესპუბლიკას ავტონომიურისაგან ანსხვავებს, არა კულტურული, ეკონომიური, ან ტერიტორიალური სივრცე და მოსახლეობა, არამედ ეროვნული და ადგილმდებარეობა.

აქ აღსანიშნავი, რომ ავტონომიურ ოლქს შეუძლია გახდეს ავტონომიური რესპუბლიკა. მაგრამ ამ უკანასკნელს კი არასოდეს შეუძლია საკავშირო რესპუბლიკად გადაიქცეს და მით მიიღოს ფორმალური უფლება კავშირიდან გასვლის.

მართალია ბოლშევიკურ «კონსტიტუციას» და «უფლებას» არავითარი ძალა არ აქვს, როდესაც ის ჩაგრულ ერებს ეხება, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ რუსეთი ამ უფლებას პრინციპიალურად ცნობს სწორედ იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც რუსეთის განაპირა მხარეებს შეადგენენ. ამით დამპყრობელი საჯარით აღიარებს რუსეთში მთელი ჩამოყალიბებულ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულების არსებობას და იძლევა, მისდა უნებლიეთ, კავშირის შემადგენელ ნაწილებად დაყოფის გეზს.

როგორც ავღნიშნეთ, დღევანდელი რუსეთი წარმოადგენს საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების კონგლომერატს, დასახლებულს სხვა და სხვა კულტურის, ენის და მოდგმის მთავარ ეროვნულ მასებათ.

ნათქვამის საილუსტრაციოთ საჭიროა განვიხილოთ ცალ-ცალკე, როგორც საკავშირო, ისე ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორია. მოსახლეობა და მათი სამეურნეო შესაძლებლობანი და დაუპირდაპირთთ ველიკორუსულ რასას და მის პოტენციალს.

სამწუხაროდ აქ იძულებული ვართ ვისარგებლოთ 1926 წ. აღწერით. ვინაიდან ბესლეი წლის აღწერის ანგარიშებს დღის სინათლე არ უნახავთ. თუ საბჭოთა ბუნდოვანებენ, ის არ გამოაქვეყნეს, რადგანაც «ამწერლების მიერ უხეში შეცდომები იყო დაშვებული». სინამდვილეში კი აღწერის შედეგები საბჭოთა ხელისუფლებისათვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. უცხოეთის პრესის ცნობით, ძალდატანებითი კოლექტივიზაციის და სისხლიანი რეპრესიების შედეგად რუსეთს 25-30 მილიონ მცხოვრებლამდე დაეკარგავს.

დღემდი არსებულ ცნობების მიხედვით, საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კავშირი შეადგენს 11 საკავშირო რესპუბლიკას 146.800.000 მცხოვრებით და 21.343.000 კვ. კილომეტრის ტერიტორიით. აქედან ამ საკავშირო ნაციონალურ რესპუბლიკებს უკავიათ 5.103.000 კვ. კილომეტრი, 57.650.000 მცხოვრებით.

მცხოვრებთა რიცხვი ამ რესპუბლიკათა შორის შემდეგნაირად ნაწილდება: ამიერ-კავკასია (ზურბაიჯანი, საქართველო, სომხეთი)—6 მილ. მცხოვრები; უკრაინა შეიცავს—31.5 მილიონს; ბელორუსია—5.5 მილ.; ყაზახსტანი—6.5 მილ.; ყირგიზეთი—1.0 მილ.; თურქმენისტანი—1.0 მილ.; უზბეკისტანი—5.3 მილ.; ტადჟიკისტანი—0.850 ათას. ხოლო ველიკოროსიას თავისი ავტონომიური რესპუბლიკებით და ოლქებით უჭირავს—16.240 ათასი კვადრატიული კილომეტრი და შეიცავს—89 150 ათას მცხოვრებს.

მაგრამ, როგორც ვიცით, ველიკოროსიის (რ. ს. ფ. ს. რ.) ფარგალში მოქცეულია 17 ავტონომიური რესპუბლიკა და 6 ავტ. ოლქი. ეს უკანასკნელნი სავსებით განსხვავდებიან რუსი ერისაგან, როგორც ეროვნულად, ისე კულტურით, ენით და ზნე-ჩვეულებებით და წარმოადგენენ თავის ტერიტორიაზე ძირითად კომპაქტიურ მასებს. ამ ეროვნულ ერთეულებს რ. ს. ფ. ს. რ. საზღვრებში უჭირავთ 6.140.000 კვად. კილომეტრი და შეიცავენ 17 მილ. 350 ათას მცხოვრებთ. რის გამოკლების შემდეგ თვით ველიკოროსია შეადგენს 10.100 ათასი კვად. კილომეტრს 71.800 მილ. მცხოვრებით.

ამრიგად, რუსეთის ჩაგრული ერები, ქვია მათ საკავშირო თუ ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები—შეადგენენ, მრგვალად, 75 მილიონ მცხოვრებთ, 11,243 ათასი კვ. კილომეტრით.

აი, ასე გამოიყურება «დიდი რუსეთის» სინამდვილე, თვით ბოლშევიკური ტასტიტიკის მიხედვით. მაგრამ ვინ არ იცის, რომ საბჭოთა რუსეთში სტატისტიკა გამოყენებულია არა ნამდვილი ვითარების მოსაცემად, არამედ სიმართლის გასამრუდებლად და მისაჩქმალავად? აქაც ასეთსავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. და მართლაც, მათი სტატისტიკით ველიკოროსიად გამოცხადებული უზარმაზარი ტერიტორიები მილიონიან მცხოვრებლებით, როგორიც არიან: ჩრდილოეთ კავკასიის მხარე (დონის, ყუბანის, ურალის ყაზახობით 3 მილიონზე მეტი), მთელი ციმბირის მხარე და შორეული აღმოსავლეთი რამოდენიმე მილიონ ბელორუს-უკრაინულ მოსახლეობით და შუა ოლგის ბასეინი, სადაც კომპაქტიური მოსახლეობას მორდველები შეადგენენ თავის 1.450 ათასი მცხოვრებლებით. აღნიშნულ მხარეებში მობინადრეთა დიდი უმეტესობა არაფერით გვანან რუსებს და არც შეიძლება ისინი, ყოველ შემთხვევაში, სლავიანურ ტომებად ჩაითვალონ. სამწუხაროდ არც ერთ ბოლშევიკურ გამოცემაში ამ სხვადასხვა ხალხებზე არავითარი გარკვეული ცნობა არ არის მოცემული. ყველა მათ, რუსული სტატისტიკა და ბოლშევიკური ხელისუფლება რუსებად სთვლის და თავის ანგარიშში იგდებს.

მაგრამ ყველაზე ბასაკვირი ის არის, რომ მოსკოვი არ სცნობს ჩდილოეთ კავკასისას—მთიელთა რესპუბლიკას—ადმინისტრატიულ ერთეულად. მას შემდეგნელ ტომებად ანაწილებს, ცალ-ცალკე ავტონომიურ ოლქებად ჰქუქმაკეს და ასე—ყველას ველიკოროსიის ადმინისტრატიულ ფარგალში აბამს.

მიუხედავად ამ სიმახინჯისა, რუსეთის სივრცეზე არსებული ძალთა განწყობილება, ტერიტორიისა და მცხოვრებთა დანაწილება მთავარ ერთეულებში გამორკვეულია. ამისდა მიხედვით რუსეთი გაყოფილია ორ მთავარ ბანაკად: ერთ მხარეზე დგანან ჩაგრული ერები—ათი, ე. წ. საკავშირო და 17 ავტონომიური რესპუბლიკა—75 მილ. მცხოვრებით და 11.243 ათასი კვ. კილომეტრით, ხოლო მეორე მხარეზე დგას ველიკოროსია თავისი 71 მილიონი მცხოვრებით და 10.100 ათასი კვ. კილომ. პირველთა გეოპოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით სარფიანია. მათი უმრავლესობა ეკვრინან გარეშე სახელმწიფოებს, რასაც შეუძლია გადამჭრელი როლი ითამაშოს საგარეო გართულების დროს.

მაგრამ აღნიშნულ ჩაგრულიერების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის აადვილებს არა მარტო მათი გეოგრაფიული და მცხოვრებთა სისქე, არამედ ის შინაგანი ეკონომიურ-სამეურნეო ვითარება, რომელიც საფუძველია, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ისე მოპოვებულ თავისუფლების შესანარჩუნებლად და დასამაგრებლად. მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ხან-მანი.

რას სწერენ კომუნისტებზე?

პირველი სოციალისტური მთავრობის გადადგომის გამო «მადრიდის სოციალისტურმა დაჯგუფებამ» პარტიის აღმასრულებელ კომისიას მიმართა წერილით, რომელიც ესპანისტური მუშობის სასტიკ მხილებას წარმოადგენს. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ დოკუმენტიდან: «ამ სამი თვის წინად არსებობდა ანტიფაშისტური ბრძოლის ნამდვილი მოძოლინობა. დღეს იგი დღითი დღე იცვითება. ვისი ბრალია ეს? პირველად ყოველისა კომუნისტური პარტიის, რომელმაც უმეთაურა შეიქმულებას ხელისუფლებიდან იმ ხალხის გასაძევებლად, რომლებიც კომუნიზმის მიერ სრულებიად მიღებულ ბრძანებებს არ ემორჩილებიან... ამ პარტიამ სამყაროო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ყველა მათ, ვინც მუშთა სოციალისტურ და ანარქისტულ პროფ. კავშირებში წინააღდეგობა მათ ტოტალიტარულ პოლიტიკას, რაც სრულებით არ არის პროლეტარიატის დიქტატურა... დამარდეეველ და საპარადო ოინები ათასობით მოკლულთა და დაჭრილთა სიცოცხლის საფასურით, ყოველგვარი სტრატეგიული სარფის გარეშე, ასეთი იყო და არის კომუნისტური პარტიის პოლ ი ტ ი კ ა...

არსებობს ღალატის ფორმათა დაუსრულებელი ოდენობა... და მისი ჩადენა შეუძლია მხოლოდ ანტირევოლიუციონურ, ანტიდემოკრატიულ და გათახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირებულ უმცირესობას, მხოლოდ ხელისუფლება ხელისუფლებისათვის რომ აინტერესებს რა ფასიც არ უნდა დაჯდეს იგი... ან კომუნისტური პარტია შესაცვლის თავის დეფეტისტურ პოზიციას, ან უნდა ჩამოვაცილოთ ის საერთო საქმეებს, როგორც რუსპუბლიკანურ ისპანეთის მტერი».

ამ დოკუმენტს ხელს წერენ: კაბალერო, არაგისტენი, პასკალტამასი და ლლოპისი, რომელნიც ერთ დროს სოციალისტურ პარტიის ბოლშევიზნურ ფრთას მეთაურობდნენ. ამ ფრთის აქტიურობამ პარტიის შიგნით მაშინ მისი მთლიანობაც შეარყია. მან დაიმკვიდრა პარტიის ფრთაველურობა და ენერგიულად შეუდგა კომუნისტებთან ორგანიზაციული გაერთიანების მზადებას. აქ კი ურთიერთ სიყვარულის მარტო პლატონური ფიცი არ გამოდგა. სამოქალაქო ომმა სახალხო ფრონტის სიმაგრე სინამდვილეში გამოსცადა და სოციალისტებისა და კომუნისტების თანამშრომლობის რეალური სახეობაც გვაჩვენა. ამ უკანასკნელთ, მოსკოვის რჩევა-დარიგებით, ზუოგი უჩვენეს სახალხო ფრონტს და თავის მოკავშირეთ ხელისუფლებისათვის ბრძოლა გაუმართეს. ეს იყო ზურგს უკან მოწყობილი ნამდვილი პროვოკაცია და კაბალეროს მთავრობა იძულებული გახდა ენერგიულად აელაგმა კომუნისტური ბრბო. ამ დაპირისპირებას თან გადაყვა მისი მთავრობა, მაგრამ მან გამოაშკარავა ბოლშევიზმის რეაქციონური ბუნება და თვალი აუხილა სოციალისტებსაც. ეს დოკუმენტი მით უფრო საგულისხმოა, რომ, როგორც ვთქვით, მისი ავტორები ბოლშევიზანები არიან და თვით კაბალერომაც ერთ დროს ჩვენც ლაზათიანად შემოგვიკურთხა ჩვენი შეურიგებელი ანტიბოლშევიკური პოზიციის გამო; ჩვენ კი მხოლოდ იმას ვამბობდით და ვამბობთ, რომ, დროს და სივრცის მიუხედავად, ბოლშევიზმი რეაქციონური და ანტიდემოკრატიული მიმართულებაა, რომლის მიმართ სოციალიზმის პოზიციაა მხოლოდ ერთი უნდა იყვეს—ბრძოლა ამ შხამის ამოსაგდებად მუშათა მოძრაობის წიაღიდან. ამ თვალთანახული სინამდვილის ცნობამ დაადგინა და დემოკრატიაც დიდად დაზიანდა, მაგრამ სჯობს ვვიან ვიდრე არასოდეს.

* * *

წინა კაცი უკანასკნი ნიდიან ნთქვამია, მაგრამ ჩვენს დროში ეს ძველი სიბრძნე თითქოს არ მართლდება. როცა ბოლშევიზმის სამეფოში სოციალისტები ყველაზე მეტად იდევნებოდნენ და ეს უკანასკნელნიც ბრძოლას ბრძოლითვე უპასუხებდნენ, უცხოელი ამხანაგები ყველა ზომებით ცდილობენ ბოლშევიკების ბნელ საქმეებზე თვალები დაეხუჭათ და გაერთიანების ილიუზიით იკვებებოდენ. ყველაფერი იმის სასარგებლოდ ოკაპარკობდა, რომ ჩვენსა და მათ შორის ბრძოლა ძირითად,დოკტრინალურ და პრინციპიალურ განსხვავებას ემყარებოდა და არა პირად სიმპატია ანტიპატიას; ასეთ პირობებში გაერთიანება ბოლშევიკურ პარტიასთან, როგორც ასეთთან შეუძლებელიც იყო და მავნეც მუშათა მოძრაობისათვის. ეს ჭეშმარიტება დაიხლართა რუსეთის მისტერიულ სინამდვილეში და უცხოელთაგან მისი შეცნობა ხდება მხოლოდ დღეს მრავალი მარცხის და უნაყოფო მსხვეფლის გადების შემდეგ. როცა ამ ჭეშმარიტების შეცნობაზე ვლაპარაკობთ ჩვენ, შეიძლება საქმის ნამდვილ ვითარებას ზუსტად კი ვამოვსთქვამდეთ, რადგან ამ მიმართულებათა პრინციპიალური სხვადასხვაობა იმ თავითვე ცნობილი იყო, მაგრამ მას ლოღიკურ და აუცილებელ დასკვნას ვერ უკეთებდენ. ასეთი მდგომარეობა იყო განსაკუთრებით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში, მაგრამ საკუთარი გამოცდილება ყველაზე დამაჯერებელი მასწავლეველია. სახალხო ფრონტის და კომუნისტებთან საერთო მოქმედების ორი წლის პრაქტიკამ აქაც წარმოშვა ძლიერი რეაქცია, სინამდვილის მცდარი შეფასების და თანმიმდევრობის ნაკლულოვანების წინააღმდეგ მიმართული. სოციალისტური პარტიის უძლიერესი ფრთის ორგანო «სოციალისტში» ვკითხულობთ:

«განნეთქილების მიზეზი ბოლოს და ბოლოს ერთად ერთია: შეურიგებელი წინააღმდეგობა ტრადიციულ სოციალიზმსა და ბოლშევიზმს შორის, რომელიც წარმოადგენს მონოპოლიური მარქსიზმის რაღაც სახეობას, შეთქმულებისა და იეზუიტიზმის პრინციპებს რომ საშინელი მოხერხებით აერთიანებს. სოციალიზმი, უმთავრესად, იღწვის პროლეტართა მაქსიმუმი რაოდენობის ერთ კალასიურ პარტიაში გასაერთიანებლად. ბოლშევიზმი კი მხოლოდ ცდილობს შექმნას «კადრები» პროლეტარიატისა, რომელიც მას არაცნობიერ და მორჩილ მასად მიიჩნია, მის მანოვრებს რომ ექვემდებარება. სოციალიზმი იბრძვის მუშათა ცნობიერების ასამაღლებლად მათი საერთო ინტერესების და კლასიური სოლიდარობის მწვერვალამდე. ის ამუშავებს მათ გონებას და უნერგავს კოლექტიურ სულს. ბოლშევიზმი კი მიიღებს პროგრესიულად დაუმორჩილოს ისინი უმაღლესი «ეტაბარიტების» მპყრობელ ხელმძღვანელთა კადრების დანაკვეთ ინიციატივას. სოციალიზმს ესაჭიროება განსწავლული მებრძოლები; ბოლშევიზმს კი—«ბრმა ჯოგი» (ვაზ. «სოციალისტი» № 6).

ამ წერილის ავტორი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ადმინისტრატიული კომისიის წევრია, იგია ერთი იმათგანი, რომლებიც შეპყრობილნი იყვნენ კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების მისტიკით, სანამ მათი ილიუზიები სინამდვილემ არ დაამსხვრია. ამ სინამდვილემ, როგორც იტყვიან, შოტლანდიური ბანაოს როლი შეასრულა და გაერთიანების რომანტიზმით გახურებული თავები ანაზდეულად გააცივა.

ვალ.

National Library of Georgia

პასუხის მაგივრ.

«სოც. აზრი» ს მე 8 ნომერში ქუჩუკ ნაიბი ესაუბრება თავის მეგობარს ქართულ მწერლობაზე და გაკვრით იხსენიებს ჩემს წერილებს («ბრ. ხმა» № 68, 70, 71). მას არ მოსწონებია ამ წერილებში გამოთქმული აზრები. ამოუგლეჯია ორიოდე ნაწყვეტი და გაუკეთებია სრულიად უმართებული დასკვნები. მკითხველმა, რომ არ მომაწეროს ის აზრები, რომლებითაც ქუჩუკ ნაიბი ეკუთვნის ასწავლის თავის მეგობარს, იძულებული ვხდები ავდგესხო ზოგი რამ ჩემი ნათქვამიდან და «სოც.-აზრი»-ს თანამშრომლის მიერ ცუდად გაგებული. ჩვენ გავიარჩიეთ, რამდენად ეს იყო შესაძლებელი გაზეთის ფურცლებზე. ხელოვნების ბოლშევიკური თეორია, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალ შემოქმედების ბოლშევიკურ მუზრუუტებში ჩაკეტვას... აწერილ ამ «მხატვრულ პოლიტიკის» გატარების შედეგია ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელნიც სოოკუპაციო ხელისუფლებამ მწერლობას შეუქმნა. იმ ლიტერატურულ «პროდუქციაში», რომლის ნიმუშები ჩვენ მოყვლად დავაფსეთ, ნათლად სჩანს თავისუფალ შემოქმედების დაკნინება და დაქვეითება. ჩვენ თითუელ კონკრეტიულ შემთხვევაში ავლენ ნაგდით დაქირავებულ კრიტიკის თავდასხმებს. არ დაგვიგიწყნია არც დადებითი ლიტერატურული მოვლენები, რომელთა ღირსებანი თუ ფართეგ არ გადავშალეთ—ეს მხოლოდ გასაგებ მიზეზთა გამო და სრულიად შეგნებულად ვქენთ.

ჩვენ გავგიჯავრდეს, რადგან ერთი მწერალი ცუდად მოვიხსენიეთ. ეს მწერალი ეუბნება გლეხს: «ეწლა, რომ მესაუბრები უცნაურ გამკრა ელვამ, წინ დამეხატა ლენინი. იმის სახელის ლხენამ, დღეს რომ ქართველი გაისმის ეს იმის ნაამგია, ქედს ვუხრი ლენინის მადლობით და მის ფოლადის გვარიანს». და სხვა. განა ესაა დასაცავი?!. შეიძლება ვინმე ფიქრობდა, რომ ბოლშევიზმის სახით მოვლინებული რუსული იმპერიალიზმი შესძლებდა დედამიწის პირიდან აღეგვა ქართული კულტურის განძეულობა და მოესპო მისი შენახვის შესაძლებლობა. მაგრამ მტერმა ეს ვერ მოახერხა. პირიქით, ბოლშევიკური ჩარჩოების გარეშე დღეს საქართველოში წარმოებული კულტურული მეშაობა, რომელიც ქართველი ერის გულის სიღრმეში, მის ფართე მასიერ მძიძრაობაში ისატება—უეჭველად ემყარება საკუთარი ენის სიყვარულს, საკუთარი კერის დაცვის მტკიცე სურვილს. უბრალო ენით, რომ ვსთქვათ, თუ «ქართული ენა გაისმის» დღეს ის არის ამაგი არა ლენინის, არამედ შედეგი ქართველი ერის სიმტკიცის... აი, ეს ძირითადი საძირკველი ურაყვი და მაგარი, თავდებია ჩვენი გადარჩენის და მომავალი გამარჯვებისაც. მაგრამ ამ ეროვნული გამძლეობის კედელს უპირდაპირდება ბოლშევიკურ დოკტრინაზე აღზრდილი ერთი თაობა. ის ოფიციალურად ფლობს კიდევ ხალიტატურო ასპარეზს; ის ცდილობს ჩაჭკლას ხალხის გულში თავისუფლებისა და ერის დამოუკიდებელ არსებობისადმი სიყვარული. ის უგალობს ტირანიას, აღმერთებს ძალადობას. მთელი უბედურება იმაშია, რომ ამას ის სჩადის, არა ძალდატანებით, არა მარტო კარნახით, არამედ ბოლშევიკური შეგნებით და მოწოდებით... აი ვის ვებრძვითო ჩვენ...

«ს. ა»-ში ვკითხულობთ—ეს «ახალ ი მწერლობა შეიინახავს ეხლანდელ საქართველოს მდგომარეობის სურათსო». დიდი შეცდომაა. ბოლშევიკების ნაწერებში გლეხი და მუშა გაბეზღნიერებულია, საქართველო აყვავებული, სოციალური უთანხმოება მოსპობილია, ადამიანის ღირსება დაცულია. ნუ თუ მართლა ესაა საქართველოს მდგომარეობის დღეკანდელი სურათი? ნუ თუ ასე ფიქრობს «სოც. აზრი»? ბოლშევიკური მწერლები უნერგავენ ახალ თაობას ძალადობის კულტს, მალავენ ერის ნამდვილ სოციალურ პოლიტიკურ ვითარებას. ეს ვამხილეთ ჩვენ. ვიცით ამით ვერ შევაჩერებთ მათი კალმით მოდგაწეობას. მაგრამ პირზე კალტე უნდა დავიდვათ და პროტესტი მაინც არ გავამყოფენთ? ვინ ამბობს, რომ ამ ნაწერებს არ ენენება მომავალ ისტორიისთვის მნიშვნელობა! ის საკეთესოთ დაახასიათებს დღეკანდელ დიქტატურის მეთოდებს და ბოლშევიზმის ბოელ უბადრუკობას, მაგრამ არას შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობას.

«ს. აზრ»-ში ვკითხულობთ: «ყველაზე ანლო მორჩილებასთან. მეფეთა კარის მგოსნები იყვნენ. მაგრამ მათ შორის არა ერთი გენიალური მწერალი მოიპოვება, ნიჭიერი კი მრავალი "შეუნახავს ისტორიას». უსათუოდ. ჩვენ წინ დევს ერთი ლექსი სტალინზე. "მიგ სტალინი ცამდე აყვანილია, როგორც ოდესაღაც პიროვნება, ჰუმანიური. კაცთ ნოყვარე, სათნო გულის, მამა მზრუნველი. ამ ლექსის მხატვრული, პოეტური ფორმა სავსებით დამაკმაყოფილებელია და იგი მართლა დარჩება ისტორიას. მაგრამ მისი შინაარსი სიყალბე და ლაქიობაა და ჩვენ(ც) ეს ავლენშნეთ. ამისთვის არავითარ დანაშაულს არ ვგრძნობთ. ამით სრულებით არ უცსადებთ ბრძოლას მთელ მწერლობას. ჩვენ მიერ დასახელებულ მწერალთან და სალიტერატურო ნიმუშებით ქართული მწერლობა არ ამოიწურება. ჩვენ ვწერდით: «ქართველი ერი თავს იცავს კულტურულ ფრონტზე. ყველა დაპყობილი ერი ასე იქცეოდა. ქართული მუსიკალური ხელოვნების თუ საერთო ლიტერატურის ზოგიერთი უდავო მიღწევანი შედგა ერის ასეთო წყლთა მანძილზე სულიერ და ეროვნულ განვითარების. ბოლშევიკები ზედმეტი ბარგი და ხელის შემშლელნი არიან მის სავალ გზაზე» .. "უდიდეს მოვლენათ ჩაითვლება ისტორიულ-კულტურულ მეცნიერული კვლევა-ძიების მრავალი ცდები, ისტორიულ რომანთა შექმნა, სახალხო სიტყვიერების გაძლიერებით მრავალი ნაწარმოები მოემატა და გაკაშდიდრა ჩვენი ლიტერატურა». დასს. ყველა მიუდგომელი ადამიანი ზემო-ნათქვამიდან სულ წინააღმდეგ დასკვნებს გამოიტანდა, ვინეგმ «ს. აზრი»-ს ქუჩუკმა მომაწერა. ჩვენ სურვილი გამოვთქვით, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ჩაგრული ეპოქაში მწერლის ალაში, ეს სურვილი მოთხოვნილებათ არავისთვის წაგვიყენებია. უეჭველია, ქართვე-

ლი ხალხის გულში. მის მალულ კუთხეში ნელ-ნელა მღერის ერის დღევანდელი ვითარების ამსახველი ჩანგი. ჩვენ მიზნათ არ დაგვიისახავს ჩვენი ქვეყნის მრავალი დადებითი თუ უარყოფითი ლიტერატურული მოვლენების გაგვეხილა და დავგეფსებია, მაგრამ, ჩვენი გული არა ნაკლებ ძეგრს იმათ ბედის გახსენებაზე, რომელნიც საშინელ ტერორის ქვეშ ამერხებენ ამა თუ იმ სახით ქართული კულტურის სამსახურს.

ლეონიპირელი.

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲩᲮᲝᲜᲚᲔᲡᲢᲕᲐᲙᲘᲘᲓᲐᲜ

წელს სრულდება ოცი წელი, რაც არსებობს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო და სწორედ ეს წელი გამოცხადებულია საიუბილეო წელიწადათ. მთელი ხანა ახალგაზდა რესპუბლიკამ განელო მშვიდობიანად დიდ აღმშენებლობით მუშაობის პროცესში სახელმწიფოდ და ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში, და ეს მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო ხდებოდა დიდი ცვლილებები, არეგ-დარეგ, იცვლებოდნენ რეჟიმები, მყარდებოდა დიქტატურა და სხ. რესპუბლიკაური სახელმწიფო, ერთგული მისი დამპარსებელთა ჰუმანიური ფილოსოფიის და პრაქტიკის, საშვალებას აძლევდა საზოგადოების ყველა შემადგენელ ნაწილების კლასების, თუ ეროვნებათა უმცირესობებს მშვიდობიანი შრომის და ადამიანური არსებობისათვის. ის ბანდა, საერთო დახასიათებით, შუბგულ ევროპაში კუნძეული წესრიგის და თავისუფლების, და სამართლიანადაც იწვევდა გაკვირვებას და პატივისცემას უცხო მოწინავე ქვეყნების და ერების.

და აი ამ ეროვნული თავისუფლების ოცი წლის თავზე შეგვიძლია გადაუპარბებელად ვთქვათ რომ ეს ქვეყანა აღმოჩნდა დიდ დრამატიულ მდგომარეობაში. პრეზიდენტი ედვარდ ბენეში, ერთი დამაარსებელთაგანი დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის, დარაჯი პრეზიდენტ-განმათავისუფლებელი მასარიკის შემკვიდრეობის, თავის სიტყვაში, ამ დღეებში რომ წარმოსთქვა საჯაროთ ერთი წლიის გამო, ასე ახასიათებს მისი ქვეყნის მდგომარეობას: არ შეიძლება დავხუჭო თვალები იმაზე თუ რა დიდათ სერიოზული არის ჩვენი მდგომარეობა, არც მსურს დავამშვიდო ვინმე ოფიციალური ოპტიმიზმით. თვითეული პასუხისმგებელი მოღვაწე და პოლიტიკოსი მოვალეა დღეს დაინახოს ეს სერიოზული მომენტი და ამის მიხედვით მართოს და ამხადოს სახელმწიფო ყოველნაირი შემთხვევებისთვის.

«ეი ეხლა ვიმყოფებით ცენტრში პანგერმანიზმის ძლევამოსილი მსვლელობის, საჭირო არაა კამათი იმაზე, თუ რამდენათ სერიოზულია დღეს ჩვენი ქვეყნის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა», სწერს რესპუბლიკის პირველხარისხოვანი სახელმწიფო მოღვაწე, თავიდანვე დღემდის თავრობის წევრი —სოც.-დემ. მინისტრი და პრემიერის ამხანაგი ბენინე.

არ გვინდა ქვეყნის მდგომარეობა წარმოგიდგინოთ უფრო უკეთესად ან უარესად იმაზე, როგორც ამას ახასიათებენ მისი მეთაურები და ხელმძღვანელები. შეგვიძლია ვთქვათ შეუცდომლად, რომ ასეთი არის დაფასება მდგომარეობის ყველა ჩეხური პარტიების. განზრახ არ ვიმარჯის სიტყვა სლოვაკიას, რადგანაც სლოვაკების ერთი საგრძნობი ნაწილი, თუმცა უმცირესობა, დაყინებით აყენებს ამ ყამათ ავტონომიის მოთხოვნილებას სლოვაკიისათვის და უფთოდ დიდათ აძნელებს ჩეხოსლოვაკიის ისედაც რთულ მდგომარეობას; ამ მოძრაობას მეთაურობს 70 წლის მოვდელი გდინკა.

ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობს ამ ყამად თხუთმეტი მილიონი სული, ამათგან თერთმეტი მილიონი თვით ჩეხიაში, ოთხი მილიონი კი სლოვაკიაში და კარპატებში. ამათ რიცხვში არის აგრეთვე სამნახევარი მილიონი გერმანელთა უმცირესობა.

გერმანელთა ორნახევარი მილიონი დასახლებულია კომპაქტიურად ჩეხიის ეროვნებათა უმცირესობის ჩარევით და ერთი მილიონი კი ცხოვრობს, როგორც უმცირესობა. თვით ჩეხების უმრავლესობაში შერეული. ყველა ამათ უპირავს რვა რაიონი და ცხოვრობენ ჩეხიის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით სუდეტათ წოდებულ ადგილებში.

დღიდან თავის დაარსებისა ჩეხოსლოვაკიას კარგად ესმოდა, რომ მისი არსებობა გართულებულია მის საზღვრებში მოქცეული ეროვნული უმცირესობებით, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი გერმანელებით, რომელნიც ეკუთვნიან ეგზაკლუბული ეროვნება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თავიდანვე იყო დიდი ცდა შეექმნათ უმცირესობებისათვის, რაც შეიძლება სამართლიანი კანონები და უფლებრივი მდგომარეობა. ეს შეადგენდა შეუწყვეტელ ფიქრს და ღონისძიების საგანს ბრძენი მასარიკის და ყველა მისი თანამშრომლების.

«მასარიკი ოდესღაც ოცნებობდა, რომ ჩეხოსლოვაკია გადაიქცევა ახალ შეეიცარიად, სადაც სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა ენების მოლაპარაკე ერები იცხოვრებდენ ერთიმეორეს გვერდით მშვიდობიანად და მეგობრულად. ნელნელა თითქოს ზორციელდებოდა მასარიკის ოცნება», სწერს ბელგიელი ლეი დებრუკერი. მაგრამ, როგორც ვიცით, დაწყებული პროცესი შეწყდა გერმანიაში ნაციონალური სოციალიზმის გამარჯვებით. ამის გავლენით არსდება აქ, სუდეტ გერმანელების პარტია, ფრაქციურად ნაცის ფილოსოფერი განყოფილება. ამ პარტიას სათავეში ჩაუდგა ოდესღაც ავსტრიის ოფიცერი, სრულიად უცნობი, ახალგაზდა (დღეს 40 წ.), კონრად გენლაინი (დედით ჩეხი).

სუდეტ გერმანელ წარმომადგენელთა რიცხვი პარლამენტში (1935 წლიდგან) უდრიდა 44 ს, ორმეოსამდეს ყველა გერმანელთა დეპუტატების საერთოდ.

გასულ აპრილის უკანასკნელ დღეებში კარლსბადში შესდგა სუდეტ გერმანელთა პარტიის ყრილობა, სადაც გამოირკვა, რომ პარტიანი შემსვლე-

ლთა რიცხვი უკანასკნელ წლების ყოველ თვეში უდრიდა ათი ათას კაცს, უკანასკნელ კვირაში კი მას მოაწყდა აუარებელი რიცხვი და ეხლა პარტიაში ითვლებოდა რვაასი ათასი წევრი. 26 პროცენტი მთელი გერმანელების ჩეხოსლოვაკიაში.

ამ ყრილობაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც მოთხოვნილია პოლიტიკური ავტონომია.

ამ მოთხოვნილებას მთელმა ჩეხოსლოვაკიის პრესამ განუხრჩევლად მიმართულებისა უპასუხა: «არასოდეს».

საზოგადოებრივი აზრი, რომელზეც ეყრდნობა რესპუბლიკის მთავრობა დღეს ჩამოყალიბებულია ასე: არც ერთ სახელმწიფოს არ მიუცია გერმანელთა უმცირესობისთვის იმდენი უფლება, რამდენიც მივეცით ჩვენ. დღეს მთავრობა დაჩქარებით იმუშაკვებს დიდ კანონპროექტს, რომლითაც სრულიად უზრუნველყოფილი იქნება უმცირესობათა უფლებები.

რესპუბლიკის დაუმტკიცებს მთელ ქვეყნიერებას, რომ მან შეასრულა თავისი მოვალეობა უმცირესობების მიმართ ასი პროცენტით. ჩვენმა მთავრობამ გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტია, რომელიც ყველაზე უწინ ბა უმთავრესად ეხება ჰენლაინელებს; ჩვენ გვსურს, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა გაიგოს, რომ ყველაფერ ამას აქვს ხასიათი განსაკუთრებული მნიშვნელობის,—სუფთელი შერიგების, მაქსიმალური დათმობის; თუ ბერლინს უნდა იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია მისცეს ჩეხოსლოვაკიამ და მისმა თავრობამ, ეს მან უნდა წაიღოს ძალით. ეს კი არც ერთი გენერალისთვის არ იქნება ადვილი. ამ განსაცდელის დროს მთელი ერი, ისე როგორც ერთი კაცი, მზად ვართ თავდაცვისათვის, ყველაფერი თავდაცვისათვის, ყველაფერი ჯარისათვის. ჩვენ გვაკვს ორასი ათასი ზედმიწევნით გაწვრთვნილი, ბრწყინვალეთ შეიარაღებული ჯარის კაცი ერთი მილიონისანი რეზერვით. ჩვენი იარაღების ქარხნები ითვლება ერთ საუკეთესოდ მთელ ქვეყანაზე. ყოველგან ჩვენი სახლვრები ვერმანიასთან გამაგრებულია თანამეცნიერთა ტეხნიკის მიხედვით, ყველა დაწყებული მილიონერიდგან უკანასკნელ მეთხოვრამდის ვიბრძოლებთ ისეთი თავგანწირვით, რომ ავიყოლიებთ მთელ ქვეყნიერებას და არავითარი ეშვი არ არის, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ კარგად გვესმის, რომ წინაალდეგ შემთხვევაში, ჩვენ შევიქნებით მონები. ჩვენ მზად ვართ გერმანიის უმცირესობასთან და საზოგადოთ გერმანიასთან შეთანხმებისათვის ჩვენი დამოუკიდებლობის და სახლვრების ხელშეუხებლობის პირობების დაცვით. ჰენლაინის უკანასკნელი მოთხოვნილება სრული პოლიტიკური ავტონომიისა კი ნიშნავს ჩეხოსლოვაკიის სახელწიფოს გაკრობასო, ერთხმად აცხადებს მთელი პრესა.

მიუხედავად იმ საშიშრობისა, რომლის შუაგულში ჩეხოსლოვაკია იმყოფება და რომლის მკრთალი სუთანთ ჩვენ დავხატეთ, ის ჩრეს პირდაპირ გაწსაკეციფრებელ სიმშვიდეს, თავდაუჭერილობას, დიდი ღირსების შენახვით მალავს თვითეული მოკალაქე იმ მღელვარებას, რომელსაც ის დღეს ბუნებრივად განიცდის. ყოველდღიური ცხოვრება მიმდინარეობს სრულიად ნორმალურად ყოველივე სფეროში. არავითარი გამიმწვევი სიტყვები ან მოქმედება; თითქოს უსიტყვოთ შეფიცეს ერთმანეთს: არავითარი უადგილო გამოსვლა რაც დიდ მეზობელს დაიჩქარებიებს ჩვენ საქმეებში ჩარევას.

«დღეკანდელ საერთაშორისო განწყობილებაში პატარა ერი ვერ გაბედავს და არც უნდა გაბედოს ჩაითრიოს ერები საომარ კატასტროფაში». გაბედავდა ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში მოხსენებულმა მინისტრმა ბეხინემ. ამ განცხადებით მოცემული სახელმძღვანელო მოქმედება ყველასთვის, სა ნამ ჩეხოსლოვაკიას თავს არ დასხმიან და თავისუფლების წართმევით არ დამუქრებიან.

ემ. ლიქმთათიძე.

ემიგრანტული პრესა

მარტის ბოლო რიცხვებში გამოვიდა გაზ. «საქართველო»,—«საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სახლვარ გარეთელი დელეგაციის პერიოდიული გამოცემა». ამ გამოცემის რედაქტორია ბ-ნი გ. გვაბავა, რომელიც ქართულ ეროვნულ ფრონტში შემოდის როგორც ნაც. დემოკრატიულ პარტიის ერთი ფრთის წარმომადგენელი.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ყოველ ბეჭდვითი ორგანოს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას და ხელს უწყობს მებრძოლი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დარაზმას განმათავისუფლებელ ბრძოლის დროშის ირგვლივ. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავიივიწყოთ, რომ ამ სახის საქმითაბრძოლა სათანადო სიფრთხილეს და დიდ ტაქტს. განსაკუთრებით უნდა გავურბოდეთ ისეთი საკითხების წამოყენებას, რომლებსაც შეუძლია მებრძოლ რიგებში აირეკ-დარეკვისა და დაშლის შეტანა.

ბ-ნი გ. გვაბავა თავის მეთაურში სხვათა შორის აყენებს (თუმცა მეტად ბუნდოვანად გამოთქმულ) ორიენტაციის საკითხს. ასეთი საკითხის წამოყენება და მით უმეტეს მისი ზეგრედად გადაჭრა შეიძლება საბედისწეროდ გახდეს მებრძოლ ერისათვის. პატარა ერის მოვალეობაა ბეჯითად ადევნოს თვალყური საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენათა განვითარებას, მაგრამ იმდენი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ მსოფლიო გეგემონიის მაძებარ დიდ სმხელმწიფოთა ჯიდილში იგი არ აღმოჩნდეს ჩათრეული, როგორც ერთი რომელიმე მათგანის იარაღი. ისტორიაში არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოს თავისი ინტერესების იარაღთან გამოუყენებია ესა თუ ის პატარა ერი, მაგრამ თავისი საქმის მოგვარების შემდეგ უმოწყალოდ გაუწიერავს იგი და საბედისწერო მდგომარეობაში ჩაუტოვებია. ჩვენ არ შეგვიძლია მხედველობიდან გავუშვათ ისტორიის ასეთი მწარე გაკვეთილები და ჩვენი ქვეყნის ბედი ფუქსავატური

სიმჩატით გადავბაძო უცხო ქვეყანის ბედსა და ზრაზვებს. ეს ინნებოდა საკსებით დავიწყება იმ სიფრთხილისა, უფრმლისოდაც ყოველი დიდი საქმე საბედისწერო მარცხით თავდება.

ქართველი ერის ორიენტაცია უნდა იყოს ორიენტაცია თავის თავზე, თავის საკუთარ ძალებზე და უნარზე. ჩვენი ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლის გამარჯვებით დავგირგვინების უტყუარი თავდები და უმთავრესი პირობა ქართველი ერის სიმტკიცე და გამძლეობა, მისი გარდაუვალი მისწრაფება ადიდგინოს დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თვითონ გახდეს თავისი ბედის გამგე და ბატონ-პატრონი. გარეშე ძალას შეუძლია მხოლოდ დამხმარე როლი ითამაშოს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მისი და ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები ერთმანეთს შეხვდებიან.

. . .

«საქართველო»-ს მეორე წერილი დიდ განცვიფრებას იწვევს და გვიკვირს, რომ მან ადგილი პოვა ბ ნ. გვაზავას გაზეთის ფურცლებზე. ჩვენ არას ვიტყვით იმ უტაქტო რჩევის შესახებ, რომელსაც ამ წერილის ავტორი აძლევს ნ. ყორდანიას და მის თანამშრომლებს; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი გამოსვლები საქმეს სარგებლობას ვერ მოუტანს.

რაც შეეხება ამ წერილში აღნუსხულ გეგმას, რომელიც ეროვნულ ფრონტის რეორგანიზაციას გულისხმობს, უნდა ვთქვათ, რომ იგი მეტად ზეწოლვადა მოფიქრებული. როგორც სჩანს «საქართველო» ს ბრძენი თანამშრომელი ფიქრობს, რომ ერთი პატრიოტული ფრონტის ქონა გულისხმობს ყველა დაჯგუფებათა წარმომადგენლების აუცილებელ ერთი მაგიდის ირგვლივ ჯდომას. საქმეში ჩახედული და ემიგრანტულ მდგომარეობის მცოდნე ადამიანი ადვილად გაითვალისწინებს, რომ ასეთ ფრონტის შექმნას მრავალი გარდაუვალი დაბრკოლებები ელობება წინ. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ ისეთი გზის გამონახვა, რომელიც თავიდან აგვაცილებდა ამ დაბრკოლებებს. პირველ ხანისათვის ისიც კი დიდი საქმე იქნებოდა, თუ შევძლებდით ხაკის ჩამოგდებას ყველა იმ პატრიოტიკურ პარტიათა და დაჯგუფებების შორის, რომელთაც უახლოეს მიზნად აქვთ დასახული ჩვენი ქვეყნის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის დაცვა. ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი გაერთიანებულია ეროვნულ ცენტრის ირგვლივ, მეორე ნაწილი კი წარმოადგენს ერთმანეთისაგან გათიშულ დაჯგუფებებს. ჩვენი ქვეყნის გარდაუვალ ინტერესს შეადგენს, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვესხმოდეთ თავს და მთელი ჩვენი ენერგია და უნარი იხარჯებოდეს ჩვენი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაზე.

დღეს არსებობს ნიადაგი ასეთი პატრიოტული ფრონტის შესაქმნელად და მაგრამ განხორციელება არ იქნება საძნელო საქმე, თუ პირადი ამბიციები და ᲯᲒᲣᲤᲘᲡ თავმოყვარეობა იქნებიან დაძღეული.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲙᲠᲐᲝᲑᲐ

ფრანგ სოციალისტთა შორის.

საფრანგეთის სოც. პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ 11 აპრილის დადგენილებით პარტიულ თანამდებობიდან, განსახზღვრული ვადით, გადააყენა სენის ფედერაციის ხელმძღვანელები სიტტემატიური უდისციპლინობისა და დამარღვეველი ფრაქციული მუშაობისათვის. უმაღლესი ინსტანციის დადგენილებას აღნიშნული პირები არ დაემორჩილენ, დიდის ამბით «ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲚᲘ» ფედერაციის ბიუროში და აჯანყების დროშა აფრიალეს. ამ აქტით მათ ზედმეტად დაასაბუთეს მათ წინააღმდეგ მიღებული ზომის სამართლიანობა: ისინი პარტიიდან იქნენ გაძეკვებული და მათი ფედერაცია დაშლილათ გამოაცხადეს.

რა მოთმინება და სულგრძელობა არ გამოიჩინეს პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა; რა ხერხს არ მიმართეს, რომ ეგრედ წოდებულ «მემარცხენე რევოლიუციონერებთან» თანამშრომლობა შეეთავსებიათ პარტიის მოლიანობის და ტაქიკიების დაცვის საქმესთან, მაგრამ ამაოდ. ეს ᲯᲒᲣᲤᲘ პარტიაში პარტიად ჩამოყალიბდა და მის ხაზს და პოლიტიკას თავისი საკუთარი ხაზი და პლატფორმა დაუპირისპირა. ეს ᲯᲒᲣᲤᲘ წარმოადგენდა პარტიაში მოქაკეულ სხვადასხვა მიმართულების ელემენტთა შემთხვევით კონგლომერატს. იქ შედიოდენ ძველი ყაიდის ანარქო-სინდიკალისტები თავიანთი მაესტის უშეალო ამოძრავების თეორიით, ტოოკკისტები—ᲰᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ რევოლიუციის მანიით და გულუბრყვილო სოციალისტებიც ბოლშევიზანური სთრობელათი გოხება-არეული. ამ შეურიგებელ სიმაბინაკეთა გაერთიანების პლატფორმა მეტად მარტივი და ნათელია. ეს პლატფორმაა ბრძოლა დემოკრატიული სოციალიზმის წინააღმდეგ.

გასული წლის 18 აპრილს, პიუტოში მოწვეულმა პარტიის ეროვნულმა საბჭომ ეფიგრიულად მოითხოვა ამ ᲯᲒᲣᲤᲘს დაშლა და მისი დეზორგანიზატორული მუშაობის შეწყვეტა. ᲯᲒᲣᲤᲘს ხელმძღვანელმა ლოიალობის პირობა დადვეს, მაგრამ სინამდვილეში ძველი გზით სვლა განაგრძეს და პარტია იძულებული გახადეს მათ წინააღმდეგ სანქციებისათვის მიემართა....

იყო დრო, როცა სოციალისტები პრინციპიალური მოსაზრებით განსაზღვრავდენ თავიანთ სისტემატიურ უარყოფითი დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი, როგორც წმინდა კლასიერ ორგანიზაციისადმი. მაშინ ისინი ხელალებით უარყოფდენ სახელმწიფო ბიუჯეტს და ეროვნული თავდაცვის აუცილებლობას. ეს ის დრო იყო, როცა მუშათა კლასი სახელმწიფოს გერის როლს ასრულებდა და მას ორგანიზაციული შეკავშირებაც აკლ და. მაგრამ ცხოვრების განუწყვეტელ წინსვლის პროცესში მუშათა კლასიც გაიზარდა და პოლიტიკურ ცხოვრე

ბაში მტკიცედ შეიპრა. მისი ხვედრითი წონა და რეალური ძალის პროგრესიული ზრდა დღეს მას ავალებს სახელმწიფო მშენებლობაში ჩაბმას და ბრძოლებით შეძენილ უპირატესობათა დაცვას. სოციალისტური პარტიების გეზიც ამ ახალი მიმართულებით გადაიხარა.

ხანგრძლივი ყოყმანისა და დოკტრინალური ჯიუტობის შემდეგ ფრანგი სოციალისტებიც ამ გზას გაჰყვენ. 1936 წლის არჩევნებში გამარჯვებულებმა გაბედულად აიღეს ხელისუფლება და ეროვნულად შეუდგენ ისეთ სოციალური რეფორმების გატარებას, რომელთა წყალობით საფრანგეთი სოციალური კანონმდებლობის დარგში მოეკაკა დაწინაურებულ ქვეყნების რიცხვში. ამ გაცხარებული საქმიანობის და ბრძოლის პროცესში სოციალისტური პარტიის «მემარცხენე» ფრთა დაუპირისპირ და მთელი პარტიის ხაზს. ეს ფრთა უარყოფდა სოციალისტური და დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობას ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში და მოითხოვდა მასების მობილიზაციას პრობლემატიური რევოლიუციის მოსახდენად. ამავე დროს იგი ადგა დეფეტისტურ პოზიციას ეროვნული თავდაცვის საქმეში. ცხადია, ასეთ პოზიციას არაფერი არ აკავშირებდა პარტიის იდეოლოგიასთან და ამ ორეროფული მდგომარეობის გაგრძელება დიდ საფრთხეს უმზადებდა მთელ პარტიას, მის პრესტიჟს და ბრძოლებში განმტკიცებულ ორგანიზაციულ დარაზმულობას. საფრთხე მით უფრო დიდი იყო, რომ ეს ფრაქცია სავსებით დაეპატრონა პარტიის ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციას.— სენის ფედერაციას. ეს უკანასკნელი პიველისებულ გზაბნეულ ხელმძღვანელების წყალობით გახდა კომუნისტური დემაგოგიის მსხვერპლი.

მოსკოვის ადგილობრივმა ფილიალმა, რუსული მილიონების გულუხვი ფლანგვის მიუხედავად, ვერ შესძლო სოციალისტური ეტაფელის გარეგანს აღება და მოუულოდნელი მოკავშირეების საშუალებით დააპირა მისი შიგნიდან აფეთქება. შეიძლება ასეთი დასკვნა ერთი შეხედვით უსაფუძვლოდ მოგვეჩვენოს, რადგან კომუნისტებსა და ამ ფრთის შორის ბრძოლა ხშირად მწვავე ხასიათს იღებდა, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ისინი შეთანხმებული იყვნ მთავარში და შეხმატკბილებულად ამხედრებდნ მასებს დემოკრატიული სოციალიზმის წინააღმდეგ. ამ შეთანხმების რეალობას ამტკიცებს თვით ის დოკუმენტი, რომლითაც პივერმა პარტიიდან გაძეგების შემდეგ მიმართა კომუნისტებს. ამ დოკუმენტში იგი ამყოვნებს თავის ერთგულებას კომინტერნის ხაზისადმი, რომელ საც სენის ფედერაციაში გულმოდგინეულ ატარებდა. ბუნებრივად იბადება კითხვა: ეს ხალხი შეგნებულად ხომ არ ეუწყობდა ხელს სოციალისტური პარტიის ლიკვიდაციას კომუნისტური კაპიტალის გასაძლიერებლად?

ცხადია, რომ ეს ფრთა წარმოადგენდა საშიშ ჭაობს, საიდანაც გავრცელებული მიკრობები და სნეულებითა და დალუპვით ემუქრებოდენ მთელ პარტიულ ორგანიზმს. მისი მოცილებით პარტიამ მოახდინა მეტად დროული ოპერაცია, მისი გაჯანსაღების ინტერესი რომ ასე მწვავედ მოითხოვდა.

სენის ფედერაცია ითვლებოდა პარტიის ერთ-ერთ უძლიერეს ორგანიზაციად. დაშლამდი ის ითვლიდა 20.000 მდე პარტიის წევრს. წინასწარი ანგარიშით აღდგენილი და გადახალისებული ორგანიზაცია, პირველ ხანებში შემოიკრებს 12.000-მდე შეგნებულ წევრს და არის იმედი, რომ ამ წლის ბოლომდე ასი პროცენტით შეავსებს კონდღიკით გამოწვეულ დანაკლისს. ყოველ შემთხვევაში, ეჭეს გარეშეა, რომ რიცხობრივი დაზარალება თვისობრივი გაჯანსაღებით შეივსება.

ნორვეგიის მუშათა პარტია.

ამ რამოდენიმე თვის წინეთ ნორვეგიის მუშათა პარტიის ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა შეეტანა სოც. ინტერნაციონალში განცხადება მის რიგებში ნორვეგიის სოც. პარტიის მიღების შესახებ. შემდეგ ეს დადგენილება გადაეცა პარტიის წევრთ სარატიფიკაციოთ. ამ საკითხის გამო პარტიული პლებისციტი ეხლა დამთავრდა და პარტიის 41.469 წევრიდან 36.075 წევრმა ხმა მისცა ნორვეგიის პარტიის ინტერნაციონალში შესვლას. პლებისციტის შედეგი უკვე ეცნო ინტერნაციონალის ეგზეკუტივს, რომელმაც სიამოვნებით აღნიშნა ახალი სექციის შემატება.

ნორვეგიის მუშათა პარტიას დღეს აქვს 3 200 სხვადასხვა ადგილობრივი ორგანიზაცია, რომლებშიდაც საერთოდ ითვლება 150.000 წევრი. 1936 წელს პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში მიიღო 618.000 ხმა, ესე იგი ყველა ამრჩევლების 41,51% მან დაუპირა მხარი. 150 დეპუტატიდან პარლამენტში ნორვეგიის სოც. პარტიას ყავს დღეს 70 წარმომადგენელი. 1935 წლის მარტიდან ნორვეგიაში მალაუფლება მუშათა მთავრობის ხელშია.

National Library of Georgia

ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნი.

ამ ჩვენს ემიგრაციაში იშვიათად იბეჭდება ქართული წიგნი, ხოლო ამ იშვიათთა შორის კიდევ უფრო იშვიათია ბელეტრისტული ნაწარმოები. დაბეჩავებული საქართველოს ცხოვრების მხატვრული აღწერილობა. იმ ერთად ერთ წიგნს ამ დარგიდან, რომელიც ამას წინეთ ბ. ინასარიძემ გამოსცა მიემატა ახლა ლეონსპირელის თხზულება «დანგრეული ოჯახი». ამ დიდ მოთხრობას დარიფი აქვს ორი პატარა მოთხრობები: «ნუცა» და «დამნაშავეა», რომელნიც დამატება და გაგრძელებაა დიდ მოთხრობაში აღწერილი ამბების. როცა ამ ავტორს კითხულობთ, გაგონდებათ ე. ნინოშვილი, რომელ თანაც მას განუყოფელ კავშირი აქვს საკითხისადმი მიდგომით, დეტალების აწერილობით და საერთო მსოფლმხედველობით. ორივეს ტიპები ერთი და იმავე წრიდანაა, გლეხკაცობიდანაა აყვანილი. მაგრამ მათ ირგვლივ აწერილი საზოგადოება და სოციალური ურთიერთობა დიდათ განსხვავებულია ერთიმეორისაგან. ლეონსპირელი ნინოშვილის გგგრძელებაა; ეგნატეს საწყალი გურული გლეხი უკვე დამწიფებულია, შეგნებულია, აქტიური მოხაწილეა ძველი ცხოვრების ნგრევის და ახალის შენების; ის იქცევა ქარხნის მუშად, გადადის თფილისში და აქაც იპერს მოწინავე ადგილს, ხდება ბრძოლის ერთ მეთაურთგანაგან. მთავარი მომქმედი პირია სოფელი ნიკო, რომელიც მონაწილეობას იღებს დიდ ომში, რევოლიუციაში, დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში, მოსკოვის ურდოებთან ომში და როცა ყველაფერი გვეკარგება, მოსკოვი ბატონდება, ის აგრძელებს ბრძოლას არალეგალურ პირობებში. ბოლოსდაბოლოს ისიც უვარდება ხელში მტარვალთ და თავს დებს ერის საკუთრხეველ ზე.

ნიკოსან ერთათი ჩვენ ვეცნობით მის ირგვლივ თავმოყრილ წრეებს და პირებს, მის სოფელს, მის ოჯახს, დედ-მამას, ნაცნობ მეგობართ, სოფლის მასწავლებელს, მთელ ცხოვრებას. ამათი ურთიერთობიდან აღებული სცენები მეტათ ნიშიერათ არის გადმოცემული და გამოხატული. როცა ნიკოს მამამ გაიგო ნიკოლოზის დაცემა, მოსწრებულათ ამბობს: «აბა რა დაემართებოდა ჩემი საწყალი ბიეის დასაცავი რომ შეიქნა». ამ ერთი ფრაზით გადმოცემულია გურულ-გლეხის პსიხოლოგია. აქვე გამოყვანილია სანტერესო ტიპი, მარკოზა, ზარმაცი, უსაქმური, მთელი მშრომელი მასიდან გამოყოფილი და რაღაც ციის მანანის მომლოდინი. «ერთ საათს რომ წაიმუშავებდა. ნახეგარ საათს იდაყვით თოხის ტარზე ჩამოეკიდებოდა. გამვლელი ხშირათ დაუძახებდა მარკოზას: «არ გატეხო ბიეო თოხის ტარი ამბეგლა თავი რომ ზედ ჩამოგიკიდია». ნიკოს მამა ვიორგი მას ესაყვედურება: «ცოლშვილი გყავს ის მაინც უნდა გეცოდებოდეს; ისე რაღაც უსაქმობის ხანას შენ უცდი, კაი დაგემართოს, არც მე მაწყენს თუ უშრომლათ სახლში მოგვივა ყველაფერი». ეი ბატონდა ჩვენში მოსკოვი და მარკოზაც დიდი კაცი გახდა, მაოთლაც უშრომლათ სახლში მოუვიდოდა ყველაფერი. ის არის ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული განსახიერება ქართველი ბორბალეთ; ყველა მცონარე, უსაქმური და კრიმინალური ტიპები საქართველოს დაეპატრონენ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების როლი. რა თავგანწირვით და სიმტკიცით ისინი ზურგს უმაგრებენ თავის ქმრებს და შვილებს. გამოყვანილი ვარდო ტიპია ჩვენი მებრძოლი ქალების, რომელნიც აკავშირებენ ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციებს ერთმანეთთათან. ის მოუწოდებს თავის დაეშვებულ სამეროს ლეონტის ბრძოლისაკენ, ის მას ეკითხება: «ხარ თუ არა მზათ ახალი ბრძოლისათვის?» ნიკოს დედაბერიც კი სოფელში გადამალულ დეგნილთ ემსახურება და მათ საჭმელს უზიდავს. ამ ნაციონალურ საქართველოში ბატონობს მორალი სქესთა შორის, თავის განწირვა, ხასიათის სიმაგრე და მამაცობა, იდეალი და ბატაცება. ამ თვისებებით აღჭურვილია ანტიბოლშევიკური ქართველობა.

ახლა გადაიკითხეთ «ნუცა», ბოლშევიკური საქართველოს საწყალი ეგოგო, გაჭირებული. უადგილო. უსახსრო, რომელიც იძულებული ხდება თავის და დედის სარჩენათ ბოლშევიკ მოხელის ანკეს წამოეგოს და ბოლოს მიტოვებულ იქნას ნამუსი ართმეული, სახსარ მოკლებული. აი ეს გათახსირება მოგვიტანა მოსკოვმა.

მესამე მოთხრობის მთავარი მომქმედი ვანო ყურიაძე არის ტიპი რუსეთუმე ინტელიგენტების, რომელნიც ბლომათ მოპოვებენ რუსეთში რევოლიუციამდე, ქართველობა ეთაკილებდათ, ქართველს არ ეკარებოდენ და უცვებ საქართველოს განთავისუფლების ზარი მათ გულსაც წვდა, სამშობლო მოაგონდა და გამორჩის შინისაკენ. მაგრამ ძველი ცოდვა თან ახლავს და ძველი ნაცნობები ადარ იკარებენ—შენ ხომ ქართველობა დასტოგეო. ადარც იქით, ადარც აქეთ—ამ დრამაში მოემწყვდა ჩაფიქრებული ვანო. დამნაშავეა? კითხულობს ავტორი; უეჭველია დამნაშავეა, რასაც დასთეს ისმა მომეი. ლეონსპირელის მთელი წიგნი იკითხება გატაცებით; დაწერილია ჩინებული ქართული ენით, ცოცხალი სურათებით და პოლიტიკური ცეცხლით. ეს ასე ეთქვათ პოლიტიკური რომანია, რის მოდა აგერ ახლა შემოვიდა საფრანგეთის ლიტერატურაში და ეხება ჩვენს მწარე სინამდვილეს. ის უადრესათ საამდროეო ნაწარმოებია. ჩვენ ვურჩევთ ავტორს განაგრძოს ამ დარგის მწერლობა და გადაიქცეს ჩვენი დროის ნინოშვილათ. ამის თავდებია მისი პირველი ნაშრომი. რომელიც აკე სავსეა ცოცხალი მხატვრობით და რეალური ტიპებით.

ნ.

„ბრძოლის ხმა"-ს ექსპედიცია

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გაზეთის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

M-r Eradé
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville* Le Gérant : René Toussaint.